ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

შაბათი – კვირა, 11 – 12 ივნისი, 2016

№137 (7063)

ფასი: 50 თეთრი

„დღეს ეროვნული ბანკი დოლარს ყიდულობს, რომ ლარის მკვეთრი გამყარება არ მოხდეს“

გვ.6

რუსთავი 2 ქიბარ ხალვაშს ისევ მიაკუთვნეს

ნიკა გვარამია: „ქიბარ ხალვაში აქ ფეხს ვერ შემოდგამს“

გვ.2

რატომ არ წავიდნენ ქართველი სამხედროები ნატოს წვრთნებზე

გვ.5

მარგველაშვილი თინა ხიდაშელისგან განმარტებებს ითხოვს

— გვ. 4 —

მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილი საქართველოს დემოკრატიულობას სერიოზულ დარტყმას აყენებს“

„ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით პესიმისტურად ვარ განწყობილი“

კონსტანტინე გამსახურდია: „ამ არჩევნებით ორპარტიული სისტემა დასრულდება“

გვ.5

„საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილება არც ნაციონალებს აწყობდათ“

პარტიებმა მაჟორიტარების წარდგენა დაიწყეს

გვ.3

აფხაზეთი რუსეთთან მიერთებაზე უარს ამბობს

გვ.3



რუსთავი 2 ქიბარ ხალვაშს ისევ მიაკუთვნეს



10 ივნისს სააპელაციო სასამართლომ რუსთავი 2-ის საქმეზე პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

სამაუწყებლო კომპანიის ადვოკატები საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თამაზ ურთმელიძის მიერ 2015 წლის 3 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნებას ითხოვდნენ, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიამ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

ადვოკატებმა ასევე დააყენეს მოსამართლე შორენა ყაველაშვილის აცილების შუამდგომლობა, თუმცა მოსამართლეთა კოლეგიას ეს შუამდგომლობა არ განუხილავს და მხოლოდ განაჩენი გამოაცხადა.

ადვოკატები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას უზენაეს სასამართლოში აპირებენ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თამაზ ურთმელიძის 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ქიბარ ხალვაშს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის წილების 60%, მის კომპანია პანორამას კი 40% მიეკუთვნა.

– იმედი გვაქვს, რომ საბოლოო ჯამში ქიბარ ხალვაში ამ ბრძოლაში მოიპოვებს გამარჯვებას, – განაცხადა ქიბარ ხალვაშის ადვოკატმა პაატა სალიამ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ.

როგორც პაატა სალიამ აღნიშნა, დავა ჯერ დასრულებული არ არის და მხარეები დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ მიიღებენ გასაჩივრების გადაწყვეტილებას.

პაატა სალიას შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

– ჩვენი მოთხოვნაც სწორედ ეს იყო და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მიგვაჩნდა, რომ არსებითად იყო სწორი. ის ეფუძნებოდა იმ არგუმენტაციას, რომელიც ჩვენ მიერ იყო წარდგენილი სასამართლოში, ჩვენ

ნიკა გვარამია: „ქიბარ ხალვაში აქ ფეხს ვერ შემოდგამს“

დავიცავით ჩვენი პოზიცია სააპელაციო სასამართლოშიც და ვთვლით, რომ სასამართლომ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო, – განაცხადა პაატა სალიამ.

***

მოსამართლეებს მხარეებისთვის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გადასაცემად 30-დღიანი ვადა აქვს, მხარეს კი განაჩენის გასაჩივრების 21-დღიანი ვადა აქვს.

რუსთავი 2-ის ადვოკატები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას უზენაეს სასამართლოში აპირებენ.

რუსთავი 2-ის იურისტ თამთა მურადაშვილის თქმით, გასაჩივრება მოხდება მას შემდეგ, რაც სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაბარდებათ.

მურადაშვილის განცხადებით, ამ პერიოდის განმავლობაში, იქიდან გამომდინარე რომ შეჩერებულია დროებითი მმართველობის შესახებ ნორმა და აღსრულების ნორმა, ტელეკომპანია მუშაობას არსებული ხელმძღვანელობის პირობებში გააგრძელებს.

– ამ პერიოდში აღსრულება ვერ მოხდება და ტელეკომპანიაში ვერავინ შევა, რადგან დროებითი მმართველობის შესახებ ნორმა შეჩერებულია. შეჩერებულია ასევე დაუყოვნებლივი აღსრულების ნორმაც, – განაცხადა თამთა მურადაშვილმა.

იურისტის განმარტებით, შესაძლოა უზენაესმა სასამართლომ საერთოდ არ მიიღოს წარმოებაში საქმე, ვინაიდან კანონმდებლობა ამას ითვალისწინებს.

– თუმცა ვფიქრობთ, რომ რადგან ჯერ მოსამართლე ურთმელიძემ და ახლა უკვე სააპელაციო სასამართლომ სრულიად თავდაყირა დააყენა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა და იმისთვის, რომ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა დადგინდეს, უზენაეს სასამართლოს მოუწევს, საქმე განიხილოს, – განაცხადა თამთა მურადაშვილმა.

***

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას პოლიტიკოსების კომენტარები მოჰყვა.

– პრეზიდენტ მარგველაშვილის მოსაზრებით, რუსთავი 2-ის პროცესი პირველივე დღიდან პოლიტიზებული იყო, – განაცხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსპიკერმა, ეკა მიშველაძემ.

მისივე თქმით, პრეზიდენტს მიაჩნია, რომ არხის ირგვლივ განვითარებული მოვლენები ამძაფრებს კითხვის ნიშნებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ.

– საქართველოს პრეზიდენტის აზრით, ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი მედიის არსებობა არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ჯანსაღი წინასაარჩევნო გარემოსა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის. ამ თემაზე მსგავსი დამოკიდებულებაა დასავლელი პარტნიორების მხრიდანაც, – აღნიშნა პრეზიდენტის პრესსპიკერმა.

ბოლო დროს სტრასბურგსა და ბრიუსელში გამართული შეხვედრებისას რუსთავი2-ის თემა იყო ძალიან აქტუალური.

კალაძე: „ეს გადაწყვეტილება აზიანებს ხელისუფლებას“

მარგველაშვილი: „არხზე ხელმძღვანელობის შეცვლა დააზიანებს საარჩევნო გარემოს“

– პრეზიდენტის აზრით, არჩევნებამდე არხზე ხელმძღვანელობის შეცვლა დააზიანებს როგორც საარჩევნო გარემოს, ასევე არჩევნების პროცესის შეფასებას, – განაცხადა ეკა მიშველაძემ.

დაახლოებით მსგავსი განცხადება გააკეთა ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

– ის გადაწყვეტილება, რომელიც დღეს ძალაში დარჩა, რა თქმა უნდა, აზიანებს ხელისუფლებას, მითუმეტეს, როცა საარჩევნოა წელია. იქნება არჩევნები, ამასთან დაკავშირებით არაერთი განცხადება იქნა გაკეთებული. ჩვენ ვისურვებდით, რომ ეს პროცესები ახლა არ ყოფილიყო. თუმცა არც სახელმწიფოს, არც პრემიერ-მინისტრს, არც ერთ მინისტრს არანაირი ბერკეტი არ გააჩნია სასამართლოზე. სასამართლო არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი და დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს , – განაცხადა კახა კალაძემ.

***

სააპელაციო სასამართლოს დასრულების შემდეგ განცხადება ქიბარ ხალვაშმაც გააკეთა.

– საჩივარი იმიტომ შევიტანე, რომ მჯეროდა. ჯერ ყველა პროცესი არ მორჩენილა.

ვფიქრობ, საქართველოში იქნება სტაბილურობა და ყველაფერი ისე დარჩება, როგორც სამართლიანობა და საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას უნდა.

დავიცავ სიტყვის თავისუფლებას და თანამშრომლების ძველ ისტორიას არ ექნება უარყოფითი ზეგავლენა მათ მომავალზე – აღნიშნა გურია ნიუსთან საუბრისას ქიბარ ხალვაშმა.

მის განცხადებას რუსთავი 2-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსი გიორგი ლაფერაშვილი გამოეხმაურა.

– ქიბარ ხალვაშს ჩემთვის პირადად არაფერი შემოუთვლია, თუ მისი განცხადება ნიშნავდა იმას, რომ მუხლის ჩოქვით, სამი წრე უნდა დავარტყა რომელიმე შენობას და მოვინანიო ჩემი წარსული ცოდვები, რომელიც თეორიულად შეიძლება გამაჩნდეს, მართალი გითხრათ, არ ვიცი, რა ვუპასუხო. მე ვარ ის, ვინც ვარ, ვაკეთებ იმას, რასაც ვაკეთებ და ყველა ჩემს ხელმძღვანელს მათ შორის, თავის დროზე ქიბარ ხალვაშსაც არ შექმნია დისკომფორტი იმით, რასაც ვაკეთებ, – უთხრა გიორგი ლაფერაშვილმა ნიუ პოსტს.

ის ამბობს, რომ ორშაბათიდან რუსთავი-2 წინასაარჩევნო პერიოდის გაშუქების აქტიურად დაიწყებს.

– ჩვენ უნდა ჩავერთოთ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების რეჟიმში. წამმზომი ჩართულია, მონიტორინგიც უკვე მიდის. მთელი ამ სასამართლო პროცესების გამო მაყურებელი მიხვდა, რომ ამოვარდნილი ვიყავით ჩვეული კალაპოტიდან, უფრო მეტს ვსაუბრობდით საკუთარ თავზე, რაც ჩვენი ინტერესი საერთოდ არ არის. იმედია, ორშაბათიდან დაწყნარდება პროცესები, რუსთავი 2 ჩვეულ რიტმში განაგრძობს მუშაობას და მოგვცემა შესაძლებლობა, ჩვენი პროფესიული მოვალეობა შევასრულოთ, – განაცხადა ლაფერაშვილმა.

იგივე განაცხადა 10 ივნისს გამართულ ბრიფინგზე ტელეკომპანიის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ. მან თქვა, რომ ტელეკომპანია ჩვეულ რეჟიმში საქმიანობაზე გადადის.

– სააპელაციო სასამართლომ გააკეთა ის, რაც ასე მოსალოდნელი იყო. მე ველოდი გაცილებით უარესს, არ დავაკონკრეტებ, რას ველოდი რადგან არ მინდა დავეხმარო არცთუ ისე ჭკუაგამართულ იუსტიციის მინისტრს, ის, რაც ჩვენ დღეს ვნახეთ, შეუნიღბავი კატასტროფა იყო, სამწუთიანი გადაწყვეტილების გამოცხადება, არ უმსჯელია სასამართლოს არაკვალიფიციური მოსამართლის აცილებაზე, ნაზღაიძეს გასდის ე.წ. გამოსაცდელი ვადა ნოემბერში, ვპირდებით მას, რომ არასდროს ის მოსამართლედ აღარ განმწესდება. ჩვენ მივიღეთ ის შედეგი, რაც ასე მოსალოდნელი იყო, – განაცხადა ბ-მა გვარამიამ.

მან ხაზი გაუსვა, რომ ტელეკომპანია ჩვეულ რეჟიმში იმუშავებს.

– ველოდებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ვწერთ საკასაციო საჩივარს და იმედი გვაქვს, რომ უზენაესი სასამართლო ღირსეულად გაუმკლავდება ამ მნიშვნელოვან გამოწვევას, – აღნიშნა ტელეკომპანიის ხელმძღვანელმა.

მან ქიბარ ხალვაშზეც ისაუბრა.

– რაც შეეხება შემოთავაზებებს, მათ შორის ქიბარ ხალვაშის შემოთავაზებებს, თუ რიტორიკას შევიცვლი, ხელშეუხებელი ვიქნები, ვპასუხობ მას, მე ვარ ისეთი, როგორიც ვარ, ის არის მანქურთი და ცენზორი, მასთან თანამშრომლობას არ ვაპირებ, მას არ მოუწევს არასდროს არავისთან თანამშრომლობა, ის ვერასდროს რუსთავი 2-ის შენობაში ფეხს ვერ შემოადგამს, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

***

ბიძინა ივანიშვილის მიერ ქიბარ ხალვაშისთვის გაკეთებულ შეთავაზებას, სადაც ის ნიკა გვარამიას და რ2-ის მენეჯმენტის არჩევნებამდე თანამდებობებზე დატოვების სანაცვლოდ ხალვაშს ფინანსურ გარანტიებს სთავაზობდა, პრეზიდენტის მრჩეველი ფიქრია ჩიხრაძე სერიოზულ პოლიტიკურ შეცდომას უწოდებს.

– ეს იყო მისი მხრიდან სერიოზული პოლიტიკური შეცდომა. მანამდე ხელისუფლების წარმომადგენლები გვეუბნებოდნენ, რომ ეს იყო კერძო დავა და ამაში სახელმწიფო ვერაფრით ჩაერევა, თუმცა ამ ჩარევის ნიშნები, სამწუხაროდ, ჩანდა. ბატონი ივანიშვილის განცხადებებმა ბევრად უფრო ცხადი გახადა, რომ მმართველი ძალა სისხლხორცეულად არის დაინტერესებული რუსთავი 2-ის საკითხის სხვანაირად გადაწყვეტით და გარკვეული შეთავაზებებიც გააკეთა. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს მისგან სერიოზული შეცდომა იყო, – -განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ ტვ პირველის ეთერში.

***

რუსთავი 2-ის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ,ფეისბუქის გვერდზე ჟურნალისტი ინგა გრიგოლია ასე გამოეხმაურა:

– გამიკვირდა? არ გამიკვირდა სააპელაციო სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილება, ველოდი ამ ფინალს სააპელაციოში. ეხლა საინტერესოა, რას იზამს გვენეტაძის უზენაესი სასამართლო და კიდევ უფრო საინტერესოა, როგორ წარმოუდგენიათ ტელეკომპანიაში შესვლა ახალ მეპატრონეებს. სპეცრაზმით???? ჩემი სოლიდარობა რუსთავი ორის ჟურნალისტებს, მაგარ პროფესიონალებს და ჩემს მეგობრებს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

აფხაზეთი რუსეთთან მიერთებაზე უარს ამბობს

შორენა მარსაგიშვილი

გასულ წელს ცხინვალის მეთაურმა ლეონიდ თიბილოვმა განაცხადა, რომ მათთან რუსეთთან მიერთებაზე რეფერენდუმი ჩატარდებოდა. ამ რეფერენდუმის ჩატარებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება რუსეთი. ამის მიუხედავად, ცხინვალში შეთანხმდნენ, რომ ამ ღონისძიებას მომავალ წელს ჩაატარებენ.

იყო ვარაუდები, რომ ანალოგიური კამპანია დაიწყებოდა აფხაზეთშიც. მართალია ოფიციალური მოსკოვი ოფიციალურად ქართული ტერიტორიის ნაწილის მიერთებაზე უარს ამბობს, მაგრამ სამხედრო ბაზები ამ ტერიტორიებზე სწორედ ამ მიზნით აქვთ განთავსებული.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ აფხაზთა ლიდერი რაულ ხაჯიმბა, კრემლის კაცია. იმდენად გამოკვეთილად პრორუსულია, რომ მოსკოვის თხოვნის მიუხედავად, ის პრეზიდენტად მხოლოდ მესამე ცდაზე აირჩიეს. რაულ ხაჯიმბას გაპრეზიდენტებამდე არაერთხელ აქვს ნათქვამი, რომ აფხაზეთი რუსეთის ნაწილი უნდა გახდეს. ახლა ამ თემაზე სხვა შეხედულება აქვს.

რუსეთის შემადგენლობაში შესვლის იდეა დიდად არც აფხაზთა პრემიერ არტურ მიქვანიას ხიბლავს. რია ნოვოსტისთვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ რუსეთთან მიერთებაზე აფხაზეთში რეფერენდუმი არ ჩატარდება.

მისი განცხადებით, აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და რუსეთის საიმედო მეგობარი უნდა იყოს.

– სამხრეთ ოსეთის მოტივები გასაგებია, რადგან ოსების ერთი ნაწილი რუსეთში, მეორე ნაწილი კი სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს. შესაბამისად, მათ აქვთ გაერთიანების სურვილი. ჩვენი სიტუაცია განსხვავებულია. ჩვენ გვსურს, ვიყოთ დამოუკიდებელი სახელმწიფო და დიდი რუსეთის სანდო მოკავშირე. ჩვენ დამოუკიდებლობას ვიმსახურებთ, – განაცხადა მიქვაბიამ.

მიქვაბია მართალია მიიჩნევს, რომ აფხაზეთი დამოუკიდებლობას იმსახურებს, მაგრამ რუსეთის მოქალაქეებზე უძრავი ქონების მიყიდვის მომხრეა.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ქონების გაყიდვაზე კანონპროექტი სერგეი შამბამ მოამზადა. ის პარლამენტშიც შეიტანეს განსახილველად, მაგრამ მოსახლეობის პროტესტის გამო, საკითხის განხილვა შეჩერდა. შამბამ პროექტი უკან გაიწვია.

ეს თემა რამდენიმე კვირის განმავლობაში ტაბუდადებული იყო, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ამაზე, ადრე თუ გვიან, ისევ დაიწყებოდა ლაპარაკი. ეს საპატიო მისია აფხაზთა პრემიერს ხვდა წილად.

რუსულ სააგენტოსთან საუბარში მან განაცხადა, რომ აფხაზეთი უცხოელებისთვის უძრავი ქონების მიყიდვის საკითხის განხილვას უნდა დაუბრუნდეს.

მთავრობის მეთაური დარწმუნებულია, რომ თუ უძრავი ქონების გაყიდვა დაიწყება, ეს აფხაზეთის ეკონომიკას მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს. ის დარწმუნებულია, რომ აფხაზეთში სამშენებლო ბუმი დაიწყება.

– ჩვენთან არასაცხოვრებელი და კომერციული ფართები რუსულ ფირმებსა და იურიდიულ პირებზე უპრობლემოდ იყიდება. განსხვავებულია მიდგომა საცხოვრებელი ფართების გაყიდვაზე. ამ საკითხის მიმართ აფხაზები ძალიან მგრძნობიარენი არიან, – ამბობს მიქვაბია.

ამ მგრძნობელობას პრემიერი აფხაზეთში არსებული დემოგრაფიული სურათით ხსნის. მისი თქმით, აფხაზეთში ბევრჯერ შეიცვალა დემოგრაფიული სურათი და აფხაზები ამან ძალიან დააზარალა.

– მათ ეშინიათ, რომ საცხოვრებელი ფართების გაყიდვის შემთხვევაში, აქ დემოგრაფიული სურათი კიდევ ერთხელ შეიცვლება, – აღნიშნავს პრემიერი.

დემოგრაფიული სურათის თვალსაზრისით აფხაზებისთვის აფხაზეთში კატასტროფული ვითარებაა. დღეისათვის აქ გაცილებით ბევრი ეთნიკური სომეხი ცხოვრობს, ვიდრე აფხაზი.

არტურ მიქვაბია მთავარ საფრთხეებს ისევ საქართველოდან ხედავს. მას მშვიდად მხოლოდ რუსული ბაზის წყალობით სძინავს. ამის მიუხედავად, ის მზად არის თბილისთან დიალოგისთვის.

იმისათვის, რომ აფხაზები პირისპირ დაგველაპარაკონ, ერთი პირობაა შესასრულებელი. ამ პირობას თანასწორუფლებიანობა ჰქვია.

მთავრობის მეთაურის თქმით, შესაძლო თანამშრომლობის დამყარება რთული პროცესი იქნება, მაგრამ არა შეუძლებელი.

– ვფიქრობ, საქართველოში დაწყებულია იმის გაცნობიერება, თუ რა ჩაიდინეს აფხაზეთთან მიმართებაში. აფხაზები იმ ტრაგედიაში დამნაშავე არ არიან, რადგან საბრძოლო მოქმედებები ჩვენ არ დაგვიწყია. გაიზარდა თაობა, რომელიც არც ქართველებს იცნობს და არც ქართულ მოსახლეობას. ნორმალური ურთიერთობის დამყარებისთვის ეს დამატებითი სირთულე იქნება, – განაცხადა მიქვაბიამ.



პრემიერის განცხადებით, ყველაფრის მიუხედავად, მხარეები შეხების წერტილების გამონახვას მაინც ახერხებენ.

– გვქონდა პრობლემები „ენგურჰესზე“ და მოვაგვარეთ პოლიტიკური საკითხების გარეშე. ეს არის მაგალითი, რომ ადამიანის ინტერესებს და საღ გონებას პირველ ადგილზე თუ დავაყენეთ, მაშინ ბევრი რამის გადაწყვეტა შეიძლება, – აღნიშნავს აფხაზთა პრემიერი.

რუსულ მედიასთან საუბარში მიქვაბიამ აფხაზეთის რკინიგზის ამოქმედებაზეც ისაუბრა. მისი თქმით, ამით სოხუმი სერიოზულად არის დაინტერესებული.

რამდენიმე თვის წინ ნაციონალურმა მოძრაობამ, კერძოდ, შოთა მალაშხიამ ატეხა ერთი ამბავი. მისი მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლება მოსკოვს გაურიგდა და აფხაზეთის რკინიგზის ამოქმედებას აპირებდნენ.

არტურ მიქვაბია კი საპირისპიროს ამტკიცებს. მან რკინიგზის გახსნის შეფერხებაში ქართული მხარე დაადანაშაულა.

– ამ პროექტით დაინტერესებული ვართ. ჩემი მოსაზრებით, ეკონომიკური თვალსაზრისით ის მომგებიანია, მაგრამ ამას ეწინააღმდეგება საქართველო, რომელიც აცხადებს, რომ ჩვენთან შეთანხმებას არ დადებს. მათ მიაჩნიათ, რომ ჩვენ საქართველოს შემადგენლობაში უნდა ვიყოთ, ანუ ეს საკითხი პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, – განაცხადა არტურ მიქვაბიამ.

მოსკოვში არაერთი განცხადება გაკეთდა, რომ რუსეთის ხელისუფლება აღნიშნული რკინიგზის აღდგენის მომხრეა. ალბათ ამით იყო განპირობებული, სარკინიგზო მონაკვეთების აღდგენაში რუსი სამხედროები რომ მონაწილეობდნენ.

პარტიებმა მაჟორიტარების წარდგენა დაიწყეს

შორენა მარსაგიშვილი

არჩევნებამდე 4 თვით ადრე პოლიტიკუმმა პარტიებმა მაჟორიტარობის კანდიდატების დასახელება დაიწყეს. ამ მხრივ ყველაზე აქტიურები ნაციონალები არიან. მათ ჰამდენიმე ჰაიონში უკვე წარადგინეს მაჟორიტარები.

ყოფილმა ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ ვაკეში მათი რჩეული ექსპერტი ელენე ხოშტარია იქნება, რომელიც ნაცმოძრაობის სიის პირველ ათეულშიც შედის.

გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ნაციონალებმა გამოცდილი კადრი წარადგინეს. მათი რჩეული ამ რაიონში გიორგი ღვინიაშვილი იქნება. 2012 წელს მან გურჯაანი ერთხელ უკვე მოიგო.

გურჯაანელებს სამაჟორიტარე პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა და პარტიის სიის პირველმა ნომერმა დავით ბაქრაძემ წარუდგინა.

ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, მათ პარტიას აქვს ზუსტი გეგმა, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი ქვეყნის განვითარებას და როგორ უნდა დაძლიონ ის სიღარიბე და გაჭირვება.

მაჟორიტარობის კანდიდატი წარუდგინეს თელაველებსაც. თელაველების გულის მოსაგებად გიორგი ბოტკოველი იბრძოლებს.

ბოტკოველის განცხადებით, მან თელავის და კახეთის პრობლემები კარგად იცის და არჩევნებში გამარჯვების იმედი აქვს:

– დარწმუნებული ვარ, 2016 წლის 8 ოქტომბერს წერტილს დავუსვამთ ბიძინა ივანიშვილის მმართველობას და ეს ბრძოლა დამთავრდება ჩვენი გამარჯვებით, – განაცხადა ბოტკოველმა.

მმართველ პარტიას ჯერ მაჟორიტარების წარდგენა არ დაუწყია, თუმცა უკვე გამოიკვეთა რამდენიმე გვარი. მესტია-ცაგერი-ლენტეხი-ონი-ამბროლაურის მაჟორიტარობის კანდიდატი ვიქტორ ჯაფარიძე იქნება.

გავრცელებული ინფორმაციით, პატრიოტთა ალიანსიდან მას ამ ფრონტზე მანდატს კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი შეეცილება.

დუშეთი-ყაზბეგი-თიანეთის მაჟორიტარობის კანდიდატად სავარაუდოდ ირაკლი ტრიპოლსკი დასახელდება. ამ მიმართულებით ბრძოლა ზაქარია ქუცნაშვილსაც სდომებია, მაგრამ ზევით ტრიპოლსკი არჩიეს.

არაა გამორიცხული, ამ მიმართულებით ძალები თამაზ მეჭიაურმაც მოსინჯოს. რომელმაც საკუთარი პარტია შექმნა.

თბილისის უმეტეს რაიონებში მეოცნებეები უკვე არჩეულ მაჟორიტარებს წარადგენენ. საუბარია საკრებულოს მაჟორიტარებზე. დადასტურებულია, რომ ჩუღურეთში კენჭს რიმა ბერიძე იყრის. თემქაზე კი ჯაბა სამუშიას კანდიდატურას წარადგენენ.

გლდანში სავარაუდოდ კახა კალაძის მეგობარი და კოლეგა მურთაზ შელია ცდის ბედს. კალაძის კიდევ ერთ მეგობარს უწინასწარმეტყველებენ მაჟორიტარად წარდგენას. ერთ-ერთი ვერსიით, გარდაბანში მაჟორიტარად კენჭს ამჟამინდელი გამგებელი გოჩა ჯამარაული იყრის.

თბილისის ერთ-ერთ უბანში მოსინჯავს ძალებს „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე.

„ქართულ ოცნებას“ ჯერ გადაწყვეტილი არა აქვს, ვის დააყენებს საგარეჯოში. სამაგიეროდ, პატრიოტთა ალიანსმა უკვე იცის, რომ აქ მათი რჩეული ირმა ინაშვილი იქნება.

მაჟორიტარების კანდიდატები უკვე ჰყავს გიორგი ვაშაძის „ახალ საქართველოსაც“. როგორც ამბობენ, ჭიათურაში თავად ვაშაძე იყრის კენჭს. ვარკეთილში მისი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი მოსინჯავს ძალებს. ნავთლულის მაჟორიტარობისთვის ბრძოლას კი თეონა ჭალიძე აპირებს.

მართალია, ჯერ პარტია არ მოუძებნია, მაგრამ ბათუმის მაჟორიტარობისთვის ემზადება მურმან დუმბაძე. ამ ფრონტზე ნაციონალებიდან აჭარის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე იბრძოლებს.

მაჟორიტარების კუთხით „გირჩებმაც“ იფეთქეს. მათ გორის მაჟორიტარად ოფიციალურად დაასახელეს ანდრო ბარნოვი, რომელმაც ცოტა ხნის წინ ოფიციალურად უარყო ნაცმოძრაობა.

საკონსტიტუციო სასამართლო იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ

საკონსტიტუციო სასამართლო იუსტიციის მინისტრს პასუხობს.

როგორც ინტერპრესნიუსს საკონსტიტუციო სასამართლოდან აცნობეს, იუსტიციის მინისტრის მიერ ტელეკომპანია იმედის ეთერით ცილისმწამებლური და შეგნებულად მცდარი განცხადება გაკეთდა.

– საზოგადოების შეგნებულად შეცდომაში შეყვანის მიზნით, იუსტიციის მინისტრი ცდილობს, წარმოაჩინოს, რომ პირველი კოლეგიის წევრებს აქვთ განსაკუთრებული დამოკიდებულება ბ-ნ ნიკა გვარამიასთან. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის ოთხივე წევრი სხვადასხვა დროს მუშაობდნენ იმავე საჯარო სტრუქტურებში, სადაც ბატონი ნიკა გვარამია. აბსოლუტურად გაუგებარია, რა ნიშნით გამოყო ქ-მა წულუკიანმა პირველი კოლეგია, რომლის სამ მოსამართლეს არასდროს ჰქონია სამსახურებრივი ან ახლო პირადი კავშირი ნიკა გვარამიასთან, – აღნიშნულია სასამართლოს განცხადებაში.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები ასევე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ მოქმედი ხელისუფლების არაერთ წარმომადგენელთანაც. სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების მიერ შემოტანილი სარჩელები, რიგითობის მიხედვით განუხილავს როგორც კოლეგიებს, ისე სასამართლოს პლენუმს.

რუსთავი 2-ის ერთი საქმე ამჟამად პლენუმის მიერ იხილება, ისევე როგორც თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას ორივე სარჩელი სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა განიხილა.

– რაც შეეხება რუსთავი 2-ის იმ საქმეებს, რომლებიც 6 ივნისს ერთერთი მოსამართლის შუამდგომლობის საფუძველზე გადაეცა პლენუმს, პირველ კოლეგიას ეს საქმეები დაეწერა რიგითობის მიხედვით. ვინაიდან სარჩელები ურთიერთდაკავშირებულია, ასეთი სარჩელები გაერთიანდა ერთ საქმედ, ხოლო გაერთიანებულ სარჩელებს ერთი და იგივე კოლეგია განიხილავს, – აცხადებენ საკონსტიტუციო სასამართლოში.

სასამართლოს თქმით, ასეთია საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მისი არსებობის 20 წლის მანძილზე.

– შესაბამისად, იუსტიციის მინისტრის შეგნებულად ცრუ და შეურაცხმყოფელი განცხადებები სწორედ მის არაჯანსაღ დაინტერესებაზე მიუთითებს პირველი კოლეგიის მიერ ამჟამად განსახილველი საქმეების მიმართ, – აღნიშნულია განცხადებაში.

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანი თქმით, საკონსტიტუციო სასამართლო დროულად არ იხილავს რიგითი მოქალაქეების სარჩელებს.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელების აბსოლუტური უმრავლესობა (90%-ზე მეტი) სწორედ რიგითი მოქალაქეებისა და ორგანიზაციების მიერ არის შემოტანილი, მათი განხილვა და გადაწყვეტა ხდება კანონით დადგენილი წესით.

საკონსტიტუციო სასამართლო ადასტურებს, რომ ამჟამად წარმოებაში არის რამდენიმე საქმე, რომლებიც 2015 წლამდე იყო შემოტანილი და მათი რაოდენობა არ აღემატება წარმოებაში არსებული საქმეების 8%-ს.

– ზოგადად, ცალკეულ შემთხვევაში საქმეთა განხილვა/გადაწყვეტის ხანგრძლივი ვადები ობიექტური გარემოებებით არის განპირობებული. ასეთ გამოცდილებაზე მიუთითებს როგორც სხვა ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გამოცდილებაც, – აღნიშნულია განცხადებაში.

საკონსტიტუციო სასამართლო მოუწოდებს იუსტიციის მინისტრს, განცხადებების გაკეთებისას გამოიჩინოს

გაგრძელება მე-6 გვერდზე

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილი საქართველოს დემოკრატიულობას სერიოზულ დარტყმას აყენებს“

„ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით პესიმისტურად ვარ განწყობილი“

ნონა ცაბაძე

ბოლო ჰეჰიოდის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში დიპლომატი, ყოფილი ელჩი მამუკა გამყრელიძე აფასებს.

– ბატონო მამუკა, საზოგადოება განაწყენებულია, დიდი მოლოდინი იყო, რომ ზაფხულიდან ვიზალიბერალიზაცია ამოქმედდებოდა, თუმცა უშედეგოდ. ზოგი ხელისუფლებას ადანაშაულებს, ზოგიც დასავლეთისკენ იშვერს თითს, რომ გვატყუებდნენ. რა მოხდა რეალურად, როგორია თქვენი შეფასებები?

– ეს კომპლექსური საკითხია. იყო სტატიები ცნობილი ქართველი ჟურნალისტებისაც, რომ ჩვენ, ქართველები, ქურდბაცაცა ხალხი ვართ, ვიპარავთ და ამიტომ არ ვუნდივართ არავის. აქეთ ოპოზიციონერები აცხადებდნენ, რომ აი, მთავრობა არ მუშაობს. ვიღაცამ რუსეთს დაუბრალა.

– და აქედან რომელია?

– ეს არის კომპლექტი. არავითარ შემთხვევაში არცერთის გამორიცხვა არ შეიძლება. მე მთავრობას ვერ დავადანაშაულებ იმაში, რომ არაფერი გააკეთა. პირიქით, გააკეთეს ყველაფერი, რაც მათ მოსთხოვეს და ევროკავშირის ყველა მოთხოვნა იყო შესრულებული. არ დავადანაშაულებ, მაგრამ საყვედურს ვეტყვი.

– რისთვის? თავადვე ამბობთ, ყველა მოთხოვნა შეასრულაო.

– საყვედურს ვეტყვი იმ თვალსაზრისით, რომ არ იყო აქტიური მუშაობა ევროკავშირში. ახლა რომ გამოიქექეს ყურები, გამოფხიზლდნენ და გაიქცნენ გერმანიაში შეხვედრებზე, ხან პრემიერი და ხან პარლამენტის თავმჯდომარე, ეს უკვე დაგვიანებულია.

– სად იყვნენ აქამდე?

– ძალიან აქტიური მუშაობა უნდა ყოფილიყო. როგორც კი გამოჩნდა

პირველი სტატიები, რომ ქართველები ქურდები არიან და ასე შემდეგ, ეს უკვე განგაშის მომენტი იყო. ამას მოჰყვა უკვე გერმანიის შს მინისტრის განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ქართველები ბევრს ქურდობენ და ასე შემდეგ. ეროვნული ნიშნით კრიმინალების გამოყოფა არის აბსურდი და ამას გერმანიის მინისტრი რაღაცნაირად უნდა ხვდებოდეს. ამ დროს იყო საჭირო სერიოზული რეაგირების მოხდენა!

– რა უნდა გაეკეთებინა ქართულ მხარეს?

– ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეერჩინათ. უპირველესად ეს არის ევროკავშირში ჩვენი წარმომადგენლების მუშაობის სისუსტე. ეს არის სისუსტე საპარლამენტო ჯგუფისა, რომელიც ევროპარლამენტში მუშაობს. როდესაც ზვიად კვაჭანტირაძის განცხადებებს მოისმენს დასავლელი პოლიტიკოსი, ცხადია, გაღიზიანდება, ცხადია, შენ მიმართ გაუჩნდება ანტიპათია. იმასაც ნუ გამოვრიცხავთ, რომ ჩვენ არასასიამოვნო ხალხი ვართ.

– არასასიამოვნო რა კუთხით?

– იმ კუთხით, რომ ჩვენი ემიგრანტების 30% ქურდობით არის დაკავებული და ეს მესამის 90-იანი წლების დასაწყისიდან. შე კაი დედმამიშვილო, არ ჯობია, ხელი გაანძრიო, ვიდრე წახვიდე და იქურდო?! ალბათ, ჩვენს თავშიც უნდა ვეძებოთ გარკვეული მიზეზები. თუმცა გერმანიის მინისტრი რომ ამბობს, შეგვაწუხესო, მაშინ რისთვის ხარ მინისტრი, დაიჭირე და გამოაძევე! რომ აძლევენ ამ ვიზას, რატომ აძლევენ?! ნორმალური მოქალაქეები ვიზებს ვერ იღებენ, ქურდები და ბაცაცები კი მიდიან და სახელს გვიტეხენ. თავიანთ თავშიც უნდა ეძებონ, ეს მათი პრობლემაც არის და არა მარტო ჩვენი.

– რუსეთის ინტერესზე რას იტყვით? ესეც ხომ არ არის ხელის შემშლელი ფაქტორი?

– რუსეთის ინტერესიც აქ ძალიან კარგად ჩანს. კომპლექსური პრობლემებია. როდესაც ჩვენ მივიღეთ ვიზალიბერალიზაციის ეს გზამკვლევი, ჩვენთან ერთად მიიღო მოლდოვამაც, თუმცა მათ შეგვასწრეს, ჩვენზე ადრე მიიღეს ვიზალიბერალიზაცია. ჩვენ მათ უნდა ავკიდებოდით, იმიტომ, რომ მოლდოვას ძალიან კარგი ლობი ჰყავს იქ რუმინელების სახით. ეს უნდა მოგვეხერხებინა რაღაცნაირად. დღეს კი ისე გამოვიდა, რომ ჩვენ ჩაგვსვეს ერთ კალათაში თურქეთთან, კოსოვოსთან და უკრაინასთან ერთად. ამ კალათიდან მარტო ჩვენ რომ მიგვიღონ და ისინი არა, ეს თურქეთს ძალიან გააღიზიანებს.

– ესეც შეაფერხებს პროცესს?

– რა თქმა უნდა. როდესაც მოლდოვასთან მოგვახვედრეს, სწორედ მაშინ უნდა გვემოქმედა, რომ ამ კალათაში არ მოვხვედრილიყავით. აი, ეს მიმაჩნია ქართული მისიების სისუსტედ. ინფორმაციებს წინასწარ უნდა იგებდნენ, რისი ელჩი ხარ და რისი საელჩოს თანამშრომელი, თუ წინასწარ ინფორმაციას ვერ იგებ?!

– ყველაზე ადრე სექტემბერში ან გვიან შემოდგომაზე მოგვცემენო. არჩევნების შედეგებსაც ხომ არ ელოდებიან?

– პროცედურულად ყველაფერი ესწრებოდა არჩევნებამდე. ჩვენზე ბევრად უკეთ იციან ევროპელებმა, რომ არჩევნების წინ ამის გაკეთება არის ყელის გამოჭრა პროდასავლურად მოაზროვნე და პროევროპულად მოაზროვნე ამომრჩევლისთვის. ამ მიმართულებით იქნება ძალიან სერიოზული ლუსტრაცია და ხალხი იტყვის, ჩვენ ისევ გვიღალატეს, არ გვიშვებენ ევროპაშიო და ასე შემდეგ. ამის გაკეთება იყო ძალიან ცუდი და ეს ჩვენზე უკეთ იციან. თუ ახლა არ მოგვცეს, გადაგვიტანეს და გაგვიწელეს, არც არჩევნების მერე მოგვცემენ არაფერს! მე პესიმისტურად ვარ განწყობილი.

– ქვეყნის შიგნით არსებულ პოლიტიკურ პროცესებს როგორ აფასებთ? სერიოზული პროტესტი ისმის, რომ სასამართლო მართულია. რას ფიქრობთ თქვენ?

– სასამართლო რომ დამოუკიდებელი არ იყო წინა ხელისუფლების პირობებში და არც ახლაა, გასაკვირი რა არის ამაში. სამწუხაროდ, ჩვენთან ვერ მოხერხდა სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება წლების განმავლობაში და მე რამდენადაც ვიცი, ყველაზე კარგი სასამართლო შევარდნაძის პერიოდში იყო.

– შევარდნაძის?

– ხომ გასაკვირია, არა? მაგრამ ყველაზე დამოუკიდებელი მაშინ იყო. სანამ არ ჩამოყალიბდება ისეთი სასამართლო სისტემა, რომელიც მისცემს მოქალაქეს შეგრძნებას, რომ კანონი კანონობს და მას შეუძლია, მიაღწიოს თავის სიმართლეს, მანამდე ამ ქვეყანაში არ იქნება არაფერი. ის ბაკქანალია, რომელიც დღეს სასამართლოში ხდება, სამარცხვინოა!

– ადრე არ იყო სამარცხვინო?

– რასაკვირველია, წინა ხელისუფლების დროსაც სამარცხვინო სიტუაცია იყო. პროკურატურის შნირები იყვნენ მოსამართლეები. რაც მაშინ იყვნენ, დღესაც ისინი დარჩნენ. თავიდან ახალი მოსული რომ იყო „ოცნება“, პატარა გამონათებები ჰქონდათ, მაგრამ ამათ, რაც ცუდი ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობას, ყველაფერი გადმოიტანეს და სათავისოდ მოირგეს.

– საარჩევნო გარემოს სიჯანსაღეზე რას ფიქრობთ?

– რამდენად ნორმალურია, როდესაც რეგალიებისა და თანამდებობის არმქონე ჩვეულებრივ მოქალაქესთან მიდის 20 ძირითადი ტელევიზიის ჟურნალისტი და აწყობს მასთან ინტერვიუს?! ჩემთან ან თქვენთან მოვა ვინმე?!

– ჩვენც ხომ ვიცით, რომ „ის“ არ არის რიგითი მოქალაქე.

– აბა, რა არის?! რა თანამდებობა უკავია სახელმწიფო სტრუქტურებში?! რამდენიმე ჟურნალისტს ვკითხე და პასუხი, იცით, რა იყო? ძალიან დიდი ინტერესია მის მიმართ საზოგადოებაში და ამიტომ მივდივართო. თუ არ ხარ სახელმწიფო მოხელე და შენ მიმართ დიდი ინტერესია, ამისთვის ყვითელი პრესა არსებობს და ისინი დაინტერესდნენ და არა – ძირითადი ტელევიზიები!

– თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ მედია უწყობს ხელს მის პოლიტიკაში ჩართულობას?

– მათ შორის მედიაც, საზოგადოებაც. საზოგადოება რატომ არ სვამს კითხვას – რაშია საქმე? ვინ არის ეს ადამიანი? რატომ უნდა მართავდეს ის ქვეყანას სადღაც გარედან?! ამის პროტესტი არ უჩნდება მოსახლეობის უმრავლესობას! ბიძო მაგარიაო. რითია მაგარი?!

– ყველა თანხმდება იმაზე, რომ ივანიშვილი მართავს ქვეყანას?

– დიახ ყველა აღიარებს ამას და თავად ბიძინაც აღარ უარყოფს. მოდიან ჩემთან პრემიერ-მინისტრები და მეკითხებიან, წავიდე თუ დავრჩეო. ეს არის ყველაზე მახინჯი ფორმა! ქვეყნის სისტემა რომ ინგრევა, არაფორმალურად რომ ხდება მართვა, ეს არის პრობლემა. ეკავოს რაიმე თანამდებობა და კი ბატონო! ეს ადამიანი ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულობას სერიოზულ დარტყმას აყენებს, ჩვენი ქვეყნის ინსტიტუციებსა და სისტემას ანგრევს. ახლა გინდა ოპერა გამირემონტოს და გინდა – ხონის დრამატული თეატრი! ეს აღარ მაინტერესებს, როცა ქვეყნის მართვის სისტემას მინგრევს!

ზაზა ხატიაშვილი მთავარ პროკურორს ღია წერილით მიმართავს

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი მთავარ პროკურორს ღია წერილით მიმართავს. როგორც ხატიაშვილი წერს, ადვოკატთა დევნის ფაქტებთან დაკავშირებით პროკურორის სახელზე რამდენიმე განცხადება შეიტანა, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

ზაზა ხატიაშვილი:

– საქართველოს პროკურატურაში უმართავი პროცესები მიმდინარეობს. პროკურორები აკეთებენ იმას, რაც მოესურვებათ. არ არსებობს დამოუკიდებელი მექანიზმი, რაც მათ გააკონტროლებს და გაუგონარ უკანონობებს ჩადიან.

პროკურორები თანამდებობის უფლებამოსილების გადამეტების ფარგლებში ერევიან ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების სამოქალაქო ურთიერობებში.

ჩემი შეფასებით, უკანონოდ ერევიან ისეთ საქმეებში, რაზეც სასამართლოს სამივე ინსტანციით განხილული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არსებობს, რაც უკანონობის ნიმუშია პროკურორების მხრიდან.

ღია წერილში საუბარია, რომ 2016 წლის 26 თებერვალს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ მთავარ პროკურორს განცხადებით მიმართა ადვოკატ ირაკლი გუნიავას მიმართ განხორციელებულ უკანონო ფაქტთან დაკავშირებით.

განცხადება ეხებოდა ირაკლი გუნიავას სასარგებლოდ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რისთვისაც ადვოკატს უნდა მიეღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა საადვოკატო მომსახურებისთვის – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე მოპასუხე არაასამეწარმეო იურიდიული პირი ასოციაცია „მეაღნაგეთა ამხანაგობა გლდანი 1“-ს დაევალა მოსარჩელე შპს „შამგუნის“ სასარგებლოდ 49.950 ლარის გადახდა და მოცემული გადაწყვეტილება სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ ძალაში დარჩა.

– სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ ადვოკატმა ირაკლი გუნიავამ დაიწყო სამართლებრივი პროცედურები, მიმართა სააღსრულებო ბიუროს აღსრულების მოთხოვნით. სავარაუდოდ, სამოქალაქო დავის წაგებულმა მხარემ პროკურატურაში მფარველი იპოვა და კანონიერ ძალაში შესულ სამოქალაქო საქმეზე გამოძიება დაიწყო, რომელიც ფორმალურია, ვინაიდან ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობს გამოძიება, მაგრამ უშედეგოდ. სამაგიეროდ, პროკურორების მოთხოვნით (გიზო უბილავა) მეორედ შეჩერდა სააღსრულებო წარმოება 5 თვის ვადით იმ მოტივით, რომ გამოძიება მიმდინარეობს, რაც ჩემი შეფასებით, უკანონობის ნიმუშია.

ერთი თვის განმავლობაში ადვოკატთა ასოციაცია უშედეგოდ ცდილობს პროკურატურასთან დაკავშირებას და ვერ ვუკავშირდებით გოდერძი გოდერძიშვილს, ვისაც დააწერეთ ჩემი საჩივარი განსახილველად. ადვოკატთა ასოციაცია რომ ამ დღეშია, წარმომიდგენია, როგორ ექცევიან პროკურატურაში უბრალო მოქალაქეებს. მოგმართავთ, დაიწყოთ სისხლის სამართლებრივი დევნა იმ პროკურორების მიმართ, ვინც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით უკანონოდ ერევიან სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში და ხელოვნურად აჭიანურებენ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე აღსრულების პროცესს, – ნათქვამია ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ღია წერილში.

ინტერპრესნიუსი

ანა დოლიძის მხარდასაჭერად ხელმოწერები გროვდება

საქართველოს პრეზიდენტის მიერ უზენაეს სასამართლოს მოსამართლედ წარდგენილი კანდიდატის მხარდასაჭერად, სამოქალაქო საზოგადოება ხელმოწერებს აგროვებს.

მოქალაქეები პეტიციას ელექტრონული ფორმითაც ავრცელებენ და პარლამენტის დეპუტატებს მოუწოდებენ ხმა მისცენ ანა დოლიძეს, რომელმაც საზოგადოების მხარდაჭერა სამართლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი პრინციპულობით დაიმსახურა. – აღნიშნულია პეტიციაში.

ანა დოლიძის უზენაესი სასამართლოს წევრ მოსამართლედ დანიშვნას მხარს უჭერენ: გურამ გირგვლიანი, გურამ ენუქიძე, ია მეტრეველი, ჯამბულ გამცემლიძე, მანანა ვაზაგაშვილი, ლაშა ჩხარტიშვილი, მიშა კაჭკაჭიშვილი, გვანცა ყუფრაძე, ლევან ბუხაიძე, ზურაბ რთველიაშვილი, ლაშა ბუღაძე, რატი ამაღლობელი, ნიკუშა შენგელაია, არნოლდ სტეფანიანი, არჩილ კაიკაციშვილი, კახა კუკავა, ჯაბა ჯიშკარიანი, მანანა ნაჭყებია.

ინტერპრესნიუსი

კონსტანტინე გამსახურდია: „ამ არჩევნებით ორპარტიული სისტემა დასრულდება“

„საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილება არც ნაციონალებს აწყობდათ“

ნათია ხურცილავა

ჰამდენიმე დღის წინ 6-სუბიექტიანი საარჩევნო ბლოკი შეიქმნა. მისი ეთ-ეთი ნევი კონსტანტინე გამსახურდია და მისი პარტია თავისუფლებაა. „ახალი თაობა" კონსტანტინე გამსახურდიას ესაუბრა.

– ეს მხოლოდ საარჩევნო ბლოკია თუ შეიძლება უფრო დიდ თანამშრომლობაში გადაიზარდოს?

– ჯერჯერობით შეიქმნა მხოლოდ საარჩევნო ბლოკი, თუმცა გარკვეული თემატური თანხვედრებიც არის. ბოლოს და ბოლოს, ორი წელიწადი ერთად ვიყავით ინტერპარტიულ ფორმატში და კარგად გავიცანით ერთმანეთი.

– თქვენი ბლოკი ბარიერს გადალახავს?

– რატომაც არა. დიახ, ჩვენ ბარიერს გადავლახავთ და შედეგებსაც დავდებთ.

– რა სიახლის შეთავაზება შეუძლია ამომრჩევლისთვის თქვენს ბლოკს?

– მაგალითად, საარჩევნო გარემოს შეცვლა და სამართლიანი საარჩევნო გარემოს დამკვიდრება.

– ამ პირობას ყველა პარტია დებდა.

– დიახ, მაგრამ არავინ ასრულებდა. ჩვენ ვდებთ პირობას, რომ ნამდვილად შევასრულებთ და საარჩევნო გარემოს შევცვლით. მთლიანად შევცვლით საარჩევნო კანონმდებლობას. ჩვენ არ ვამბობთ, რომ სამოთხეს დავამყარებთ ამქვეყნად და სრულ იდილიას შევქმნით, მაგრამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს ქვეყანა ერთბაშად ჯოჯოხეთად არ გადაიქცეს.

– საგარეო ორიენტირები არ იყო წინაღობა თქვენთვის, როდესაც ამ კოალიციაში შედიოდით?

– რა საგარეო ორიენტირებია ასეთი? საზოგადოების ერთი ნაწილი საუბრობს რაღაც პრორუსულ განწყობებზე და ა.შ. მაგრამ ასეთი რამე ვერ ვნახე. ბევრი შევეცადე, რომ მენახა, მაგრამ ვერ ვნახე. ვერ ვნახე პრორუსული და მოსკოვური განწყობები. ეს არის შავი პიარტექნოლოგიის შედეგი და სხვა არაფერი. ვიღაცებს რომ ელაპარაკები, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მასთან ხარ შეკრული.

– საარჩევნო კოალიცია რომ იქმნება, ერთგვარი გათვლებიც კეთდება. როგორია გათვლები, რამდენკაციანი შემადგენლობით შეხვალთ პარლამენტში?

– ამის თქმა წინასწარ რთულია, თუმცა ეს იქნება ძალა, რომელიც მოვა პარლამენტში და თავის სიტყვასაც იტყვის.

– თქვენ სად იქნებით, შეიძლება მაჟორიტარად იყაროთ კენჭი?

– დიახ, კენჭს ვიყრი მაჟორიტარულ ოლქში.

– რომელ რაიონში?

– დასავლეთ საქართველოში, მაგრამ სად, კონკრეტულად რომელ რაიონში, ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით.

– ზუგდიდში ან სენაკში?

– ვნახოთ, ვნახოთ. წინასწარ არ მინდა ამაზე საუბარი.

– როგორი მოლოდინები გაქვთ ამ არჩევნებისგან?

– ალბათ, ბევრი პარტია გადალახავს საარჩევნო ბარიერს და, იმედია, საქართველოში ორპარტიული სისტემა დასრულდება. შეუძლებელია, გაგრძელდეს ორი პარტიის ჰეგემონია და სხვა ყველა მისი შემხედვარე იყოს.

– ორპარტიული სისტემაა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც რესპუბლიკელები და დემოკრატები ერთმანეთს ცვლიან. თქვენ ფიქრობთ, ეს უფრო ამერიკულია და არა ევროპული?

– ამერიკელი მწერალი გორი, რომელიც ამერიკული პოლიტიკური მეინსტრიმის კრიტიკოსი იყო, წერდა: ჩვენ, ამერიკელებს, როგორც ჩანს, გვაქვს ერთი პარტია, რომელიც განაგებს მთელ უძრავ-მოძრავ ქონებას და ამ პარტიას აქვს ორი მემარჯვენე ფრთა, რესპუბლიკელები და დემოკრატები. ზოგჯერ ვფიქრობ, ჩვენც ასე ხომ არ ვართ.

ორპარტიული სისტემა უფრო ამერიკული მოვლენაა, ამაში გეთანხმებით. ჩვენ უფრო ევროპული საზოგადოება ვართ და ჩვენთვის ორპარტიული სისტემა მიუღებელია. ხელისუფლებას აწყობს ერთადერთი ოპოზიციური ძალა და ეს არის ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც ყველანაირ ბრალდებას წაუყენებს და ნაციონალური მოძრაობაც თავის მართლების რეჟიმში იქნება, თუმცა ამ ბოლო დროს უფრო საწინააღმდეგო მოვლენის მოწმენი ვართ. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ მათ ერთმანეთი აწყობთ.

– რატომ ვერ შეძლო ინტერპარტიულმა ჯგუფმა საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა, ამის რეალური მიზეზი რა იყო?

– სახელისუფლებო გუნდს არ აწყობდა მისი მიღება. ეს არ შედიოდა მათ ინტერესებში და ეს ცხადი იყო.

– წაგებულ ბრძოლაში შეხვედით?

– ჩვენ, როგორც ოპოზიციურმა ერთობამ, ჩვენი პოზიცია დავაფიქსირეთ. ბოლომდე ვიბრძოლეთ კიდეც, რომ რეალური ცვლილებები მიგვეღო და უკეთესი საარჩევნო კოდექსი და გარემო გვქონოდა, მაგრამ გვაქვს ის რეალობა, რომელიც გვაქვს. საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილება არ აწყობდა ნაციონალურ მოძრაობასაც და ეს კარგად გამოჩნდა.

რატომ არ წავიდნენ ქართველი სამხედროები ნატოს წვრთნებზე

მარგველაშვილი თინა ხიდაშელისგან განმარტებებს ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

ნატოს სამხედრო სწავლება „ანაკონდა 2016"-ში, რომელიც პოლონეთში ტარდება, მონაწილეობა ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების ნევი ქართველ ასეულს უნდა მიეღო.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ქართველები პოლონეთში ჩუტყვავილას გამო ვერ წავიდნენ.

რადიო თავისუფლების რუსულენოვანმა ბიურომ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 120 ქართველი სამხედრო, რომლებიც აქტიურად ემზადებოდნენ ნატოს უპრეცედენტოდ მასშტაბურ წვრთნებში მონაწილეობის მისაღებად, ბოლო მომენტში წვრთნებზე არ დაუშვეს.

იმავე ინფორმაციას ავრცელებს გავლენიანი რუსული გამოცემა კომერსანტიც. გამოცემის მტკიცებით, ქართველები „ანაკონდაზე" მოსკოვის ჩარევის გამო ვერ მოხვდნენ.

კომერსანტის ინფორმაციით, ქართული ასეულის წვრთნებში მონაწილეობის ინიციატორი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი იყო.

– ამ დღეებში იგი ხანგრძლივ საზღვარგარეთულ ტურნეში იმყოფება, რათა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ვარშავის სამიტის წინ დასავლეთის სახელმწიფოების მხარდაჭერა მიიღოს. რასაკვირველია, ასეთ ფონზე ქართველი მეომრების მონაწილეობა ისეთ პრესტიჟულ წვრთნებში, როგორსაც „ანაკონდა-2016" წარმოადგენს, მართლაც კარგი და სასარგებლო იქნებოდა, – წერს კომერსანტი.

კომერსანტისთვის დიპლომატიური წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთ გავლენიან ევროპულ სახელმწიფოს ამ თემაზე მოსკოვთან დიალოგი ჰქონია. რუსეთის ხელისუფლებამ ევროპულ სახელმწიფოს სთხოვა, ქართული ასეული „ანაკონდაზე" არ დაეშვათ.

– რუსეთის ასეთი თხოვნა იმით აიხსნება, რომ მანევრები რუსეთის საზღვრებთან ახლოს მიმდინარეობს, რაც მოსკოვის გაღიზიანებას იწვევს, ხოლო ქართველების მონაწილეობა კრემლის შეშფოთებისთვის დამატებითი ფაქტორი იქნებოდა. ამის შემდეგ ალიანსის ხელმძღვანელობამ ქართველ კოლეგებს სთხოვა, თავი შეეკავებინათ პოლონეთში სამხედრო კონტინგენტის გაგზავნისაგან და მხოლოდ სამიოდე დამკვირვებლით შემოფარგლულიყვნენ, – განუცხადა გამოცემას სარწმუნო წყარომ.

კომერსანტი ამ თემაზე ინფორმაციის მიღებას „ანაკონდა 2016"-ის პრესსამსახურშიც შეეცადა. იქ ამ თემაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვეს.

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი კი აღნიშნულ მიზეზს სასაცილოს უწოდებს. როგორც შაშკინმა „ნიუპოსტს" განუცხადა, ერთადერთი მიზეზი, რატომაც „ანაკონდის" ასეული პოლონეთში არ გაემგზავრა, საქართველოს მმართველი გუნდის მხრიდან რუსეთისადმი მაამებლური პოლიტიკაა.

– „ანაკონდა" არის ძალიან მნიშვნელოვანი წვრთნები ყველა დემოკრატიული ქვეყნისთვის, ნატოს ქვეყნებისა და ნატოს პარტნიორი ქვეყნებისთვის. იმიტომ, რომ ეს სამხედრო თვალსაზრისით არის ძალიან მკაფიო პოლიტიკური მესიჯი რუსეთის ფედერაციის მიმართ, რომ ნატო აპირებს თავისი პარტნიორებისა და თავისი წევრი ქვეყნების დაცვას, ამ წვრთნებს აქვს როგორც წმინდა სამხედრო, ასევე ძალიან დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, – განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

მისი თქმით, სამწუხაროა, რომ საქართველო ამ წვრთნებში არ მონაწილეობს. სამწუხაროა ისიც, რომ არმონაწილეობის საბაბი სასაცილოა.

– შედეგად ჩვენ ახლა არ ვდგავართ პოლონეთში იმ ქვეყნებთან ერთად, რომლებიც იცავენ დემოკრატიას, რომლებიც უპირისპირდებიან რუსეთის მილიტარისტულ გეგმებს და რომლებიც ახლა შეადგენენ ევროპულ ოჯახს, – აღნიშნა თავდაცვის ექსმინისტრმა.

ის ამბობს, რომ ერთადერთი მიზეზი, რატომაც არ გაემგზავრა ჩვენი ასეული პოლონეთში, არის რუსეთის არგაღიზიანების ფაქტორი.

– ეს ესმის ყველა ექსპერტს, ყველა ადამიანს, რომლებიც არიან გარკვეული ამ საკითხში. ბატონებისა და ჩუტყვავილის მოყვანა მიზეზად ნებისმიერ სამხედროში იწვევს მხოლოდ ღიმილს, – განაცხადა შაშკინმა.

ნამინისტრალი მიიჩნევს, რომ უმჯობესი იქნებოდა, ხელისუფლებასა და თავდაცვის უწყებას რეალური მიზეზი ეთქვათ. ნატო არ არის ორგანიზაცია, რომლის მოტყუებაც დასახელებული არგუმენტით არის შესაძლებელი.

– ასეთი არგუმენტი შეიძლება იყოს გამოყენებული სადმე სოფელში, მაგრამ არა ნატოს წევრ ქვეყნებთან. ჯობდა, რომ ღიად ეთქვა პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, თუ რატომ არ აკეთებენ ამას. ნუ ჰგონიათ, რომ ნატოში მიამიტი ხალხი ზის, რომლებიც შეიძლება მოატყუო, რომ თურმე ჩვენი ასეული არ გაემგზავრა მხოლოდ იმის გამო, რომ რამდენიმე ჯარისკაცს ჰქონდა ჩუტყვავილა, – აღნიშნა დიმიტრი შაშკინმა.

მისი აზრით, ხელისუფლება ამ უგუნური ნაბიჯით ცდილობს, არ გააღიზიანოს რუსეთი.

– ეს არგაღიზიანების პოლიტიკა ოთხი წლის განმავლობაში ნიშნავს იმას, რომ ე.წ. საზღვრებს აქეთ სწევენ და საქართველო უკვე აღარავის ახსოვს, რუსი ოკუპანტები კი ჩვენსავე კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩვენს ჯარისკაცებს ხოცავენ, – დასძინა საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა.

პოლონეთი საქართველოსგან ოფიციალურ ახსნა-განმარტებას ელოდება, თუ რატომ არ მიიღეს მონაწილეობა ქართველმა სამხედროებმა „ანაკონდა-2016"-ში.

ამის შესახებ პოლონეთის შეიარაღებული ძალების ოპერატიული სარდლობის პრესმდივანმა პეტრ ვალატეკმა განაცხადა.

– ქართველები მოწვეული იყვნენ სწავლებაში, ისინი არ ჩამოვიდნენ. ჩვენ ველოდებით ოფიციალურ პოზიციას, – განაცხადა ვალატეკმა.

პოლონეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ბართლომე მისიევიჩმა უარყო, რომ ნატოში ქართველებს სწავლებაში მონაწილეობისგან თავშეკავებისკენ მოუწოდეს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ასეულის გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ქვეით ასეულში გამოვლინდა ჩუტყვავილათი დაავადების ორი შემთხვევა. აღნიშნული ვირუსი ჯარისკაცებს ოჯახის მცირეწლოვანი წევრებისგან გადაედოთ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში შედგა კონსილიუმი, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ IV მექანიზებული ბრიგადის მე-12 მსუბუქი ქვეითი ბატალიონის III მსუბუქმა ქვეითმა ასეულმა მიმდინარე წელს დაგეგმილ საერთაშორისო სწავლება „ანაკონდა-16-ში" არ მიიღოს მონაწილეობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული წვრთნაში მონაწილე სამხედროებში ვირუსის გავრცელების შესაძლებლობა.

* * *

10 ივნისს საღამოს გამართულ ბრიფინგზე პრეზიდენტ მარგველაშვილის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე უახლოეს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გიორგი მარგველაშვილი განმარტებას თინა ხიდაშელისგან და ვახტანგ კაპანაძისგან მოითხოვს.

– ნატოს სწავლებაში მის წევრ სამხედროებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღო საქართველოს შეიარაღებული ძალების მეოთხე მექანიზირებული ბრიგადის მეთორმეტე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის მესამე მსუბუქ ქვეით ასეულს, რაც არ მოხერხდა.

პრეზიდენტი თვლის, რომ ეს იყო უმნიშვნელოვანესი წვრთნები არა მხოლოდ სამხედრო, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც, განსაკუთრებით ნატოს სამიტის წინ. სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი უახლოეს უშიშროების საბჭოს სხდომაზე აუცილებლად მოითხოვს დეტალურ ახსნა-განმარტებებს ამ თემაზე თავდაცვის მინისტრისა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელისგან, – განაცხადა ეკა მიშველაძემ.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ ნონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

„დღეს ეროვნული ბანკი დოლარს ყიდულობს, რომ ლარის მკვეთრი გამყარება არ მოხდეს“

გულიკო ბალაძე

ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური ვითარების შესახებ „ახალ თაობას" 20/30-ის წევრი, ეკონომიკის ექსპერტი მიხეილ დენდუა ესაუბრება.

– ბატონო მიხეილ, ოპოზიციონერი პოლიტიკოსები მუდმივად ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაზე საუბრობენ. თქვენი ანალიზით, ვითარება როგორია?

– მთელს რეგიონში არსებული არასახარბიელო ეკონომიკური ვითარება საქართველოში აისახა ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელებაში. ეკონომიკური ზრდის ტემპები შემცირდა ჩვენს პარტნიორ ქვეყნებში. ზოგიერთ ქვეყნებში მკვეთრად გაუარესდა. დოლარიც გამყარდა. ყოველივე ამან, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ჩათვლით, საქართველოში ეკონომიკური შეფერხება გამოიწვია.

– რეგიონში ეკონომიკური კრიზისი რომ არა, საქართველოში უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობა იქნებოდა?

– რომ არა რეგიონული ეკონომიკური კრიზისი, ეკონომიკური ზრდის ტემპი დაჩქარდებოდა. ჩვენ 2013 წლიდან აქტიურად გადავედით საგარეო ვალის (როგორც კერძო, ისე სახელმწიფო) დაფარვის აქტიურ ფაზაში.

2010 წელს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ეკონომიკური სტაბილურობის ანგარიშში განხილული იყო მოვლენათა განვითარების 8 სცენარი. საბაზისო სცენარით, 2012 წლიდან შემცირდებოდა ეკონომიკური ზრდის ტემპი. 2019 წლამდე 1%-მდე შემცირდებოდა, ხოლო 2021 წლიდან 3.5% იქნებოდა, ანუ 2012 წლიდან ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებას, ყოველგვარი გარე შოკების გარეშე, სახელმწიფო ისედაც მოელოდა ნაციონალური მოძრაობის ეკონომიკური ზრდის მოდელით, რომლითაც მიდიოდა ქვეყანა. ის გარდაუვალად გულისხმობდა ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებასა და საბოლოოდ, 3,5%-ზე დასტაბილურებას.

– ანუ 2010 წლის ეკონომიკური სტაბილურობის ანგარიშით ამტკიცებთ, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება ნაცმოძრაობის სცენარებითაც იყო მოსალოდნელი?

– ეს წერია 2010 წლის ანგარიშში, რომელიც ეროვნული ბანკის ვებგვერდზეა განთავსებული.

გარდა ამისა, 2011 წელს მთავრობამ 10-პუნქტიანი გეგმა გამოაქვეყნა. ეს იყო 2011-2015 წლების სახელმწიფო სტრატეგია, თუ რას ელოდებოდა ქვეყანა 2015 წლისთვის. იქ წერია, რომ საგარეო შოკების შემთხვევაში, თუ რეგიონების ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპები შენელდება, საქართველოს ეკონომიკური ზრდა იქნება 0-3%-მდე.

ნაცმოძრაობას რომც გაემარჯვა, ეკონომიკური ზრდის ტემპი შენელდებოდა. ისინი კი იტყოდნენ, წინასწარ ვპროგნოზირებდით, თუ ჩვენ ირგვლივ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპი შემცირდებოდა, ჩვენთანაც მოხდებოდა ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებაო.

– ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ნაცმოძრაობას რომ გაემარჯვა, ეკონომიკური კოლაფსი გველოდებოდაო. თქვენ მის ანალიზს ეთანხმებით?

– დიახ, იმიტომ, რომ ნაციონალები მკვეთრად ზღუდავდნენ ბიზნესს. სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის რეკეტი უმაღლეს დონეზე გახლდათ აყვანილი. მასშტაბური ელიტური კორუფცია იყო, სადაც ახლა ძალიან მკვეთრი გაუმჯობესება გვაქვს. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა ძალიან შემცირებული გახლდათ და ქვეყანა ვალზე იდგა.

– ქვეყანა ახლა არ დგას ვალზე?

– 2012 წლის შემდეგ ხელისუფლებამ დაიწყო ვალის დაფარვა და გადავედით ვალების ეკონომიკიდან ინვესტიციების ეკონომიკაზე. ახლა საშვილიშვილოდ აღებული საგარეო ვალი კი არ წარმოადგენს ქვეყნის განვითარების შემაშველებელ ბერკეტს, არამედ ინვესტიციები. განსაკუთრებით გაზრდილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალი ნაკადები. გაზრდილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი და ქვეყანა სახელმწიფოს მხარდაჭერასთან ერთად, თანდათანობით იწყებს ადგილობრივი წარმოების განვითარებას.

არა ფასადურ მშენებლობას, არა გაზსაცავის მაგივრად პარლამენტის შენობის აგებას, არა ფასადების შექმნას, არამედ გაზსაცავის მშენებლობას, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერას, ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერასა და განვითარებას. ამიტომაცაა, რომ 2012 წლის შემდეგ, ჩვენ ევროკავშირში ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ექსპორტი გავზარდეთ 98%-ით.

– ეს სად ჩანს?

– ხელისუფლების ძალისხმევა რომ არა, ქვეყანა მიღებულ შოკებს ვერ გაუძლებდა. ასეთი ძლიერი შოკი 2010 წლის ანგარიშშიც არ იყო გათვალისწინებული. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს ვერავინ წარმოიდგენდა. ერთდროულად დოლარის გამყარებას, ლარის გაიაფებასა და ირგვლივ ქვეყნებში ვითარების გაუარესებას ვერავინ იწინასწარმეტყველებდა.

– ვალების ეკონომიკიდან ინვესტიციების ეკონომიკაზე გადავედითო, მაგრამ ოპოზიცია ამბობს, რომ ენერგეტიკის მიმართულებით წინა წლებთან შედარებით ინვესტიციები შემცირდა.

– ენერგეტიკაში ინვესტიციები ძალიან მაღალია. თუ არ ვცდები, დაახლოებით ორმილიარდნახევარია. არსებობს ენერგეტიკის მიმართულებები, როდესაც ფორმალურად ენერგეტიკული პროექტები აღირიცხება ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში.

მაგალითად, ელექტროხაზების, ნავთობ და გაზგაყვანილობითი სამუშაოების რეაბილიტაცია, შექმნა და ამ მიმართულებებით ინვესტირება ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში აღირიცხება, მაგრამ თავისი ბუნებით ენერგეტიკას ეკუთვნის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარდა, ამ ხელისუფლების პირობებში ენერგეტიკის სფეროში განხორციელებული ინვესტიციები ნახევარ მილიარდზე მაღალი იყო.

მნიშვნელოვანია შიდა ინვესტიციები, არაპირდაპირი ინვესტიციები სხვადასხვა სფეროში. დაახლოებით 14 ჰესი შეიქმნა, მათ შორის, ერთი თბოელექტროსადგური. ინვესტიციები მკვეთრად გაიზარდა.

– კიდევ ერთი ბრალდება იყო – ძირითადად რუსეთს უწყობენ ხელს და უფრო მეტი ინვესტიცია რუსეთიდან შემოდისო. ეს დასტურდება?

– არა, ეს არ დასტურდება. მე შედარებისთვის ავიღე საკაშვილის სამოქმედო გეგმა. საკაშვილს დროს 2011 წლის ოქტომბრისთვის მთავრობას ჰქონდა 10-პუნქტიანი გეგმა, სადაც წერია, რომ 2015 წელს ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველუნარიანობის კოეფიციენტის მიხედვით 2015 წელს იქნება ორჯერ მეტი, ვიდრე იყო 2005 წელს.

– თქვენ საგარეო და რეგიონალ შოკებზე ისაუბრეთ. მახსოვს, ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტს მუდმივად აკრიტიკებდით ლარის კურსის დაცემის, მისი დევალვაციის გამო. ამ ფაქტორმა არ იმოქმედა ეკონომიკაზე?

– ლარის კურსის დევალვაციას ხელი შეუწყო ეროვნული ბანკის წინა მენეჯმენტმა, მისმა არასწორმა პოლიტიკამ. ლარი პოლიტიკურ ტყვეობაში იყო და გაცილებით გაუფასურდა, ვიდრე შეიძლებოდა ბუნებრივად გაუფასურებულიყო. როგორც კი პოსტიდან წავიდა ძველი და მოვიდა ახალი პრეზიდენტი კობა გვენეტაძე, ლარმა გამყარება დაიწყო.

დღეს ეროვნული ბანკი დოლარს ყიდულობს, რომ ლარის მკვეთრი გამყარება არ მოხდეს, ხოლო ბიზნესს ამის გამო პრობლემა არ შეექმნას. კობა გვენეტაძე ცდილობს ლარის გამყარების პროცესი სტაბილურ რეჟიმში გადაიყვანოს. დღეს ლარი ასახავს ეკონომიკის ბუნებრივ მდგომარეობას, რაც წინა შემთხვევაში არ გვქონდა და წინა პლანზე იყო ხელოვნური ფაქტორი, რომელმაც დააზარალა ეროვნული ვალუტა.

– 2019-2020 წლისთვის რა გველოდება?

– 2020 წლისთვის ეკონომიკური მაჩვენებლები გაიზრდება.

– ქადაგიძის მუშაობისას მუდამ საუბრობდით ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის წარმოუდგენლობაზე, ისე წავიდა ქადაგიძე, ანგარიში არ წარმოუდგენია. ახალმა მენეჯმენტმა ფინანსური სტაბილურობის ანგარიში გამოაქვეყნა?

– არა. როგორც ვიცი, ახალი მენეჯმენტის პოზიციაა, ანგარიში იყოს მომავალზე ორიენტირებული დოკუმენტი, რისთვისაც დამატებითი კვლევებია საჭირო. კარგი იყო, წინა მმართველობის პერიოდში გაკეთებულიყო, მაგრამ ახლა მომზადდება მომავალზე, პროგნოზზე, წინასწარ გაფრთხილებაზე ორიენტირებული ანგარიში, რომ ბიზნესსუბიექტებმა კარგად დაგეგმონ თავიანთი ფინანსური მომავალი.

ერთადერთი, მომავალზე ორიენტირებული დოკუმენტი ქადაგიძის დროს 2010 წელს გამოქვეყნდა. 2011 წელს გამოიცა ანგარიში, რომელიც საუბრობდა წარსულზე. ქადაგიძემ ასეთი დოკუმენტი არ გამოაქვეყნა 2012-16 წლებში.,რადგან პროგნოზირებული ჰქონდა 2012 წლიდან ეკონომიკური ზრდის შეფერხება, ფინანსური სტაბილურობის ანგარიში არ გამოაქვეყნა, რათა არ გამოჩენილიყო მისი ძველი პროგნოზები.

დავით ნარმანია: „ბოტანიკურ ბაღში მცირე ჰესი არ შენდება“

ბოტანიკურ ბაღში მცირე ჰესი არ შენდება, ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა, რომელიც გამოეხმაურა გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თბილისის ბოტანიკურ ბაღში ერძო ბიზნესმენი, ბიძინა ივანიშვილის ინტერესების სასარგებლოდ, ჰიდროელექტრო სადგურს აშენებს.

ნარმანიამ ჟურნალისტებს კითხვების სწორად დასმისკენ მოუწოდა.

დავით ნარმანია:

– ბოტანიკურ ბაღში მცირე ჰესი არ შენდება. კითხვა დასვით სწორად. ჯერჯერობით არსად არ შენდება ჰესი, უბრალოდ საუბარია, რომ ბოტანიკური ბაღიდან საკმაოდ მოშორებულ ტერიტორიაზე აშენდეს მცირე ჰესი, რაზეც განზრახულობის მემორანდუმი არსებობს.

კონკრეტული პროექტი ან რენდერი არ შემოსულა. შემოსულია მხოლოდ წერილი, რომელიც დახარვეზდა და გადაეგზავნათ უკან.

დედაქალაქის მერის მტკიცებით, აღნიშნული საკითხი არ განიხილება.

ინტერპრესნიუსი

თბილისის მერია დედაქალაქში მცხოვრები პენსიონერებისთვის 200 ლარის გაცემის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს

თბილისის მერია დედაქალაქში მცხოვრები პენსიონერებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს. ამ საკითხთან დაკავშირებით თბილისის მერიაში გუშინ მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა ბრიფინგი გამართა.

გელა ჩივიაშვილის თქმით, თბილისის სხვადასხვა რაიონში მცხოვრები პენსიონერებისგან ბოლო დღეებში ასეულობით განაცხადი შედის. მისივე თქმით, წინა დღეებში ყოველდღიურად მატერიალური დახმარების გაწევის თხოვნით დღეში 60-70 განაცხადი ფიქსირდებოდა, ბოლო სამი დღის განმავლობაში კი ამ რიცხვმა 200-ს გადააჭარბა.

– ბოლო დღეებში ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს მერია პენსიონერებისათვის ახორციელებს ერთჯერადი დახმარების გაცემას 200 ლარის ოდენობით. მინდა აღვნიშნო, რომ ეს დეზინფორმაცია და მიზანმიმართულად განხორციელებული ტყუილია. მინდა მოვუწოდო თბილისის მოსახლეობას, ნუ აჰყვებიან ჭორს, – განაცხადა გელა ჩივიაშვილმა.

მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა ასევე მოუწოდა იმ ადამიანებს, რომლებიც ამ ინფორმაციას შეგნებულად ავრცელებენ, ნუ შეიყვანენ მოსახლეობას შეცდომაში. ჩივიაშვილმა იმ პირებს მიმართა, რომლებიც დეზინფორმაციას ავრცელებენ, ნუ მოახდენენ პენსიონერთა კატეგორიის გამოყენებას ასეთი მიზნით.

ინტერპრესნიუსი

სასწავლო წელი 15 სექტემბერს დაიწყება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო წელი 15 სექტემბერს დაიწყება. იმ შემთხვევაში, თუ 15 სექტემბერი დასვენების ან უქმე დღე იქნება, სწავლა შემდგომ პირველ სამუშაო დღეს დაიწყება.

საქართველოს ყველა სკოლაში სწავლის დაწყების ერთიანი თარიღი „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით განისაზღვრა, რომელიც პარლამენტმა დღეს მესამე მოსმენით მიიღო. კანონი 2017 წლიდან შედის ძალაში.

როგორც პროექტის ავტორი ნუკრი ქანთარია განმარტავს, ყველა სკოლისათვის სწავლის დაწყების ერთიანი თარიღის განსაზღვრა მოსწავლეთა თანაბარ უფლებრივ მდგომარეობას უზრუნველყოფს.

– „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მიხედვით სწავლის დაწყების ასაკია 6 წელი. იმის გამო, რომ კერძო სკოლაში სწავლის დაწყების თარიღი კანონით დადგენილი არ არის, მათ უმრავლესობაში სწავლა იწყება უფრო გვიან, ვიდრე საჯარო სკოლაში.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის ბრძანების შესაბამისად, საჯარო სკოლაში სწავლის დაწყების თარიღად გასაზღვრულია 15 სექტემბერი. ხშირია შემთხვევა, როცა ბავშვს 6 წელი საჯარო სკოლაში სწავლის დაწყების შემდეგ, რამდენიმე დღეში უსრულდება და ეკონომიკურად შეძლებულ მშობელს ბავშვი სასწავლებლად კერძო სკოლაში შეჰყავს, რასაც სხვა ბავშვების დიდი უმრავლესობა ვერ ახერხებს და იძულებულია შემდეგი სასწავლო წლის დაწყებას დაელოდოს. ამის გამო ბავშვები არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან.

სიტუაციის გამოსწორება შესაძლებელია, თუ კანონით განისაზღვრება სწავლის დაწყების ერთიანი თარიღი საქართველოს ყველა სკოლისათვის. გარდა ამისა, თუ კანონით განისაზღვრება სწავლის დაწყების თარიღი, რომელიც დიდი ხნით ადრე ეცოდინება მოსახლეობას, მშობლებს შესაძლებლობა მიეცემათ უკეთ მოამზადონ ბავშვები სასწავლო წლის დასაწყებად, – აღნიშნულია პროექტის განმარტებით ბარათში.

პარლამენტის მიერ მიღებული პროექტის თანახმად, განისაზღვრება საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყების ერთიანი თარიღი – 15 სექტემბერი. ამასთან, კანონპროექტის მიხედვით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტით შეიძლება განისაზღვროს განსხვავებული სასწავლო წლის დაწყებისა ან დასრულების თარიღი შემდეგ შემთხვევებში: – „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად საჯარო სკოლაში პილოტირების განხორციელებისას, სკოლებში ფორსმაჟორული გარემოებების არსებობისას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისას, ასევე კერძო სკოლის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.

ინტერპრესნიუსი

საკონსტიტუციო სასამართლო იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მეტი პასუხისმგებლობა და შეახსენებს, რომ ის ვალდებულია, დაასახელოს მის წინა განცხადებაში აღნიშნული ყველა ის შემთხვევა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა, მისი აზრით, თვითნებურად გაიგრძელეს სამოსამართლეო ვადა.

საკონსტიტუციო სასამართლო მოუწოდებს ხელისუფლების წარმომადგენლებს, თავი შეიკავონ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში უხეში ჩარევისგან.

– საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, განურჩევლად იმისა, თუ რომელ კოლეგიას განეკუთვნებიან ისინი, მოქმედებენ კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად. საფუძველს მოკლებულია საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიების რაიმე ნიშნით განსხვავება, – ნათქვამია განცხადებაში.

საკონსტიტუციო სასამართლო ასევე შეახსენებს ყველა დაინტერესებულ პირს, რომ სამოსამართლეო ეთიკა შესაძლებლობას არ აძლევს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს, ჩაერთონ პოლემიკაში საჯარო მოხელეებთან ან პოლიტიკოსებთან.

– ამიტომ სასამართლო მოუწოდებს ხელისუფლების, მმართველი პოლიტიკური გუნდის და ოპოზიციის წარმომადგენლებს, ასევე მედიას, გამოიჩინონ კორექტულობა საკონსტიტუციო სასამართლოს როგორც ინსტიტუციის, ასევე მისი წევრების შესახებ მოსაზრებების გამოთქმისას, – აღნიშნულია განცხადებაში.

The Wall Street Journal: „საქართველო ვიზალიბერალიზაციას სექტემბერში მიიღებს“

გავლენიანი ამერიკული გამოცემა „The Wall Street Journal“-ი, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების გადადებას, ჟურნალისტების – ვალენტინა პოპისა და ლოურენს ნორმანის სტატიით ეხმაურება.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის შემოკლებულ ვერსიას თავისუფალი თარგმანით:

საქართველოს, უკრაინისა და კოსოვოს იმედები, რომ ევროკავშირი ზაფხულისათვის მიიღებდა გადაწყვეტილებას ამ ქვეყნებისათვის უვიზო რეჟიმის შემოღების თაობაზე, ბოლო დღეებში გაქრა. ეს მოხდა იმ ახალი პრობლემების ფონზე, რომლებიც ბლოკის ყველაზე გავლენიანმა და „მძიმეწონიანმა“ ქვეყნებმა წამოსწიეს და რომლებიც გამოიხატება როგორც გერმანიის შეშფოთებაში ქართული დამნაშავეობრივი ჯგუფების მოქმედების გამო, ასევე საფრანგეთის მცდელობაში თავიდან აიცილოს ახალი ტერორისტული აქტების საფრთხეები.

ევროპელი დიპლომატებისა და ოფიციალური პირების თქმით, ვიზალიბერალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მთავრობებისა და ევროპარლამენტის მიერ, ყველაზე ოპტიმისტური ხედვით, ალბათ, შეიძლება სექტემბერში განხორციელდეს. უვიზო რეჟიმის თაობაზე შეთანხმების გაფორმება საშუალებას მისცემს ბიომეტრიული პასპორტის მქონე საქართველოს, უკრაინისა და კოსოვოს მილიონობით მოქალაქეს, თავისუფლად ეწვიოს ევროკავშირის შენგენის ზონის ქვეყნებს (დიდი ბრიტანეთი და ირლანდია ამ ზონაში არ შედიან).

უვიზო რეჟიმი ერთ-ერთ საკვანძო ინსტრუმენტად ითვლება ევროკავშირისათვის, რომლის მიზანს მეზობელი ქვეყნების მიზიდვა და მათში რეფორმების განხორციელების ინიცირება წარმოადგენს. ამასთან, ვიზალიბერალიზების გადადება-გაჭიანურება არასასურველი იქნებოდა, ვთქვათ, საქართველოსა და უკრაინისათვის, რომლებიც ცდილობენ თავი დაიცვან მტრული მეზობლისაგან – რუსეთისაგან.

ბოლო თვეების განმავლობაში ევროკომისიამ (ევროკავშირის აღმასრულებელმა ორგანომ) რეკომენდაცია გაუწია საქართველოს, უკრაინას და კოსოვოს უვიზო რეჟიმის მიღების თაობაზე. რაც შეეხება თურქეთს, ამ ქვეყნის საკითხის განხილვა ოქტომბრამდე გადაიდო, სანამ ანკარა ყველა პირობას არ შეასრულებს. მოკლედ, ისეთი სიტუაცია იყო, რომ სამი ქვეყნისათვის უვიზო რეჟიმის მიცემის საკითხი სწრაფად გადაწყდებოდა.

მაგრამ ოთხშაბათს, 8 ივნისს, ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნის ელჩებმა ვერ მოახერხეს ერთსულოვნად მხარი დაეჭირათ საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის შეთავაზების მიზნით. არადა, საქართველო ამ გადაწყვეტილებას ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბრიდან ელოდებოდა.

ბოლო დღეებში გერმანელი მაღალჩინოსნები აცხადებენ, რომ ბერლინის მხრიდან უვიზო რეჟიმის შეთანხმებისადმი მხარდაჭერა დამოკიდებულია ქართული წარმოშობის მქონე დამნაშავეობრივი ჯგუფების საქმიანობის აღკვეთაზე. გერმანიამ უკვე სთხოვა ევროკომისიას, მოამზადოს შესაბამისი მოხსენება ქართული მაფიოზების მოქმედების შესახებ ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებშიც. გერმანიის პოზიციას საფრანგეთი და იტალიაც იზიარებენ. მათი განცხადებით, უკეთესი იქნება, თუ მოიცდიან იმ ახალი წესების დამტკიცებამდე, რომელთა მიხედვით, ვიზალიბერალიზების ბოროტად სარგებლობის შემთხვევაში, უკვე მიცემული უვიზო რეჟიმის შეჩერება გამარტივებული წესით მოხდება.

ბუნებრივია, ასეთმა სიტუაციამ კიევის, თბილისის და პრიშტინის შეშფოთება გამოიწვია.

„ბრიუსელს მეტი მიზეზი არ აქვს უვიზო რეჟიმის გადადებაზე, – ამბობს „უოლ სთრით ჯორნელის“ კორესპონდენტთან საუბარში კოსოვოს პრეზიდენტი ჰაშიმ ტაჩი, – ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ზაფხულის ბოლომდე შევძლებთ ბოლო პირობის შესრულებასაც – პარლამენტში მოვახდენთ ჩერნოგორიასთან დადებული სასაზღვრო შეთანხმების რატიფიცირებას“.

საქართველოს მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ უვიზო რეჟიმს საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე მიიღებდა, რითაც ქვეყნის პროდასავლური პარტიების პრესტიჟი ამაღლდებოდა. ოთხშაბათს, ბრიუსელში ვიზიტის დროს, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, მართალია, თავის განცხადებაში უვიზო რეჟიმის პრობლემას გაკვრით შეეხო, მაგრამ როგორც ერთ-ერთმა ბრიუსელმა მაღალჩინოსანმა თქვა, ქართველი ლიდერი ევროკავშირის პირველ პირებთან შეხვედრის დროს აქტიურად ლობირებდა ვიზალიბერალიზების საკითხს.

იგივე სიტუაციაა უკრაინის შემთხვევაშიც: პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო უვიზო რეჟიმის მიღების საკითხს თავისი პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნევს. ევროკომისიამ უკრაინას რეკომენდაცია აპრილში მისცა, თუმცა კიევი ფიქრობს, რომ უვიზო რეჟიმს სწრაფად ვერ მიიღებს, ალბათ, მხოლოდ შემოდგომის პირზე. როგორც უკრაინის ელჩი ევროკავშირში მიკოლა ტოჩიტსკი აცხადებს, თუ ვიზალიბერალიზების საკითხის რეალიზება დაგვიანდება და ძალიან გაჭიანურდება, ეს ფაქტი ევროკავშირსაც გარკვეულად დააზარალებს, პრესტიჟისა და ნდობის თვალსაზრისით.

ნიუსპრესი

ანზორ წოწონავა: „აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციას ფიფაში არავინ მიიღებს“

„ნაცმოძრაობის სატელიტების ბრძოლამ ჩვენ წინააღმდეგ რუსთავი 2-ში გადაინაცვლა“

მარიამ მჭედლიშვილი

აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის ფეხბურთის ფედერაციას ფიფაში გაწევრიანების პრეტენზია აქვს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე ანზორ წოწონავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საამისოდ საფუძველი არ არსებობს.

ანზორ წოწონავა:

– ფიფაში გაერთიანებული არიან სუვერენული სახელმწიფოების წარმომადგენლები. ეს ნორმა ასახულია საერთაშორისო სამართალში, გაეროს პრინციპებში. აფხაზეთი ოკუპირებული და მსოფლიო თანამეგობრობის მიერ არაღიარებული ერთეულია. მას ფიფაში არავინ მიიღებს. საოკუპაციო რეჟიმი ყველა ხერხს იმართავს, რომ როგორმე მიიპყროს მსოფლიოს ყურადღება და მიაღწიოს ლეგიტიმაციას. ამისთვის სეპარატისტები სპორტსაც იყენებენ.

– ამ მოთხოვნას წინ უძღოდა აფხაზეთში არაღიარებული წარმონაქმების საფეხბურთო ნაკრებების ჩემპიონატი. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს შესაძლებელი გახდა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის შერბილების გამო.

– კონიფას საფეხბურთო ფორუმი მართლაც ჩატარდა აფხაზეთის ტერიტორიაზე. მას ფიფა არ ცნობს. ეს სამწუხარო მოვლენაა, მაგრამ მე მას არ ვაკავშირებ კანონთან ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და მის ვითომ შერბილებასთან. ეს კანონი თავიდანვე ხარვეზიანი იყო.

– რატომ იყო ხარვეზიანი?

– ის ნაჩქარევად იქნა მიღებული. ამ კანონში მკაფიოდ უნდა განმარტებულიყო, რას ნიშნავს ოკუპირებული ტერიტორია, ვინაა ოკუპანტი და სხვა. გარდა იმისა, რომ კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ბუნდოვანია, მან დაგვაშორა აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას. ფაქტობრივად, კანონმა არ იმუშავა.

– ანუ აფხაზეთში არალეგალურად შესვლისთვის ბევრი არ დასჯილა?

– ზოგიერთ საერთაშორისო ორგანიზაციას ამ კანონმა მუშაობაში ხელიც შეუშალა. დასჯითაც თითქმის არავინ დასჯილა.

– თბილისს შეეძლო თავიდან აეცილებინა არაღიარებული წარმონაქმნების ჩემპიონატის ჩატარება აფხაზეთში?

– რაც მოხდა, დანაშაულია. როგორც ძველმა ოპერატიულმა მუშაკმა, შემიძლია ვთქვა, რომ შესაძლებელია დანაშაულის პრევენცია 70 ან 80%-ით. აქაც შეიძლებოდა.

– ანუ შესაბამისმა ორგანოებმა პასიურობა გამოიჩინეს?

– პასიურობას ვერავის დავაბრალებ, მაგრამ ჩვენ დაგვაყენეს ფაქტის წინაშე. ეს სპორტული ღონისძიება არ უნდა ჩატარებულიყო. აფხაზეთში სხვა უკანონობებიც ხდება. მაგალითად, ფრანგული ინვესტიციები იდება ტურიზმში, გერმანული კი – ჯანდაცვის სფეროში. ეს არაა დიდი დაბანდებები, მაგრამ მაინც უკანონოა. ამ ბიზნესში აქტიურად მონაწილეობენ რუსები და სომხები. საუბედუროდ, დანარჩენ საქართველოშიც დაძაბული გვაქვს სიტუაცია და აფხაზეთისთვის ხანდახან არავის სცალია.

– საარჩევნო პერიოდს გულისხმობთ?

– საარჩევნოდ უფრო მეტად ხდება ყველაზე გაჭირვებული დევნილების გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის. არიან აფხაზეთიდან დევნილები, რომლებისთვისაც ბინები არ გადაუციათ. ბევრი მათგანი სახელმწიფო სტრუქტურებამდეც ვერ მიდის. ამით სარგებლობენ პარტიები, განსაკუთრებით – ნაციონალური მოძრაობა. გაუბედურებული ხალხი ხდება ნაციონალების მხრიდან მანიპულირების საგანი. ნაცმოძრაობა ჩვენ, აფხაზეთის ლეგიტუმურ სტრუქტურებსაც გვებრძვის.

– რანაირად?

– ძირითადად თავისი სატელიტების მეშვეობით. ასეთებია „აფხაზთა კრება“, კვარაცხელიას მიერ დაარსებული „ლაზარე“. ამ ადამიანებს თავიანთი პირადი ინტერესებიც აქვთ. ისინი ეწევიან აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების დისკრედიტაციას.

ბოლო დროს რუსთავი 2-ითაც შემოგვიტიეს. იქ გასულ ცილისმწამებლურ სიუჟეტებს პასუხი გავეცით, მაგრამ არ ვიცით, გაეცნნენ თუ არა ამ პასუხს აფხაზეთიდან დევნილები. ხშირად ადამიანების მეხსიერებაში ჯდება ცილისწამება, რომელიც რუსთავი 2-ით გადაიცემა და ისინი ვეღარ ისმენენ ამ ცილისწამების გაბათილებას. იმათ, ვინც გვებრძვის, არაფერი აქვთ საერთო ტერიტორიული მთლიანობის ინტერესებთან და სახელმწიფოებრივ მიდგომებთან.

მეტრო სამგორის მიმდებარე ტერიტორია ნაგავში იხრჩობა

ვინ მფარველობს გარევაჭრობას

მიუხედავად იმისა, რომ მეტრო სამგორის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე აგრარული ბაზარი და ბაზრობა ფუნქციონირებს, აქ გარემოვაჭრეები მრავლად არიან. ისინი პირდაპირ ქუჩაში ყიდიან ყველაფერს – ჰიგიენური საშუალებებით დაწყებული, მალფუჭებადი პროდუქტებით დამთავრებული. საქონელი პირდაპირ მიწაზე აწყვია. ერთადერთი, რასაც ხელისუფლებამ მათთან ბრძოლაში მიაღწია, ისაა, რომ ქუჩაში ხორცის გაყიდვა აუკრძალა, თუმცა არცთუ იშვიათად, იქ სახელდახელოდ მოწყობილ დახლებზე ხორციც იყიდება ხოლმე. პროდუქტი არც ხარისხზე თუ ვარგისიანობაზეა შემოწმებული. გამყიდველს სიტყვაზე უნდა ენდო.

გარემოვაჭრეებს ბაზრების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა არაერთხელ შესთავაზეს ბაზარში შესვლა, მაგრამ ისინი უარს ამბობენ. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ გადასახადის გადახდა არ შეუძლიათ.

მათი წყალობით, გადასახადების გადახდა აგრარულ ბაზრებსაც აღარ შეუძლიათ. როგორც ბაზრების წარმომადგენლები ამბობენ, ხალხი ბაზარში ფაქტიურად ვეღარ შედის, შესაბამისად, არც ვაჭრობაა და არც შემოსავალი.

მათ დახმარებისთვის გასულ წელს ისნის რაიონის გამგეობასაც მიმართეს. გამგეობამ მათი საქმე მერიაში გადააგზავნა. ბაზრის წარმომადგენლებს თბილისის მერიც შეხვდა და პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა. დაპირების მიცემიდან საკმაო დრო გავიდა, მაგრამ კანონით აკრძალული გარევაჭრობა ისევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

გარევაჭრობით სამგორის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებლებიც შეწუხებული არიან. მათი ფანჯრების თუ სადარბაზოების წინ ვაჭრობა სისხამ დილით იწყება.

ხმაურის გარდა, მოსახლეობას ანტისანიტარიაც აწუხებს. გარემოვაჭრეები საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე არც ფიქრობენ და ყველაფერს იქვე ყრიან. როგორც მოსახლეობა ამბობს, მათ ნაგვის სუნი აწუხებს. ხშირად ისინი საკუთარ სადარბაზოში შესვლას ან იქიდან გამოსვლასაც კი ვერ ახერხებენ.

ადრე მოვაჭრეებს საქონელი თან მიჰქონდათ, ახლა საქმე გაიმარტივეს და ყველაფერს ადგილზე ტოვებენ. მათ დაქირავებული ჰყავთ დაცვა და საქონელს ღამით ის იცავს. ადრე ღამე მაინც შეიძლებოდა გავლა, ახლა ესეც შეუძლებელია. ტროტუარებზე სასიარულოდ საცალფეხო ბილიკებია დატოვებული.

ბაზრების ადმინისტრაციების მსგავსად, მათაც არაერთხელ მიმართეს დახმარებისთვის ხელისუფლებას, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ერთჯერადად მიღებული ზომებით მხოლოდ რამდენიმე საათით წყდება გარევაჭრობა, პოლიციის წასვლიდან რამდენიმე წუთში კი ყველაფერი თავიდან იწყება.

პრობლემები აქვთ მძღოლებსაც. გარემოვაჭრეები საავტომობილო გზის სიახლოვესაც სხედან. ქეთევან წამებულის გამზირის ეს მონაკვეთი ისედაც გადატვირთულია და მათი წყალობით, ხშირად გაუვალი საცობებია.

გამოსავლის მოსაძებნად ბაზრების ადმინისტრაციების წარმომადგენლები კიდევ აპირებენ მერიაში მისვლას. დავით ნარმანიას უწყებას ეს პრობლემა კარგა ხნის წინ უნდა გადაეწყვიტა. მათ ამას კანონიც ავალდებულებს. თბილისის საკრებულოს მიერ გამოცემული დადგენილებით გარევაჭრობა აკრძალულია.

არჩევნების წინ ხელისუფლება გარემოვაჭრეების გაღიზიანებას ერიდება, მაგრამ მათთვის თავზე ხელის გადასმამ შესაძლოა კიდევ უფრო ბევრი ადამიანი გააღიზიანოს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი ბაზრების გარდა მოსახლეობასაც უქმნიან პრობლემებს.

ამ პრობლემის მოგვარებით დედაქალაქის ხელისუფლება სხვა მიზეზითაც უნდა იყოს დაინტერესებული. გარემოვაჭრეები ბიუჯეტის სასარგებლოდ არც ერთ თეთრს არ იხდიან. ბიუჯეტს კი შევსება სჭირდება.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გარევაჭრობის პრობლემა საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში მოგვარდა. გამონაკლისი მხოლოდ თბილისი დარჩა, სადაც ამ პრობლემის გამო რიგ ადგილებზე გადაადგილება ფაქტიურად შეუძლებელია.

სამგორის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ბაზრები და ბაზრობები ფაქტიურად დახურვის წინაშე დგანან. აპრილის თვეში ისინი შეხვდნენ დედაქალაქის მერს დავით ნარმანიას. დავით ნარმანია მათ პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა. მერი ამბობდა, რომ ამ საქმეს აღდგომის შემდეგ მიხედავდა. აღდგომაც გავიდა და ამაღლებაც, მაგრამ პრობლემა გადაუჭრელია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ისიც არავინ იცის თუ ვინ უნდა მოაგვაროს ეს პრობლემა. მერიის ზედამხედველობის სამსახური პოლიციისკენ იშვერს ხელს, პოლიცია – მერიისკენ. ამასობაში ზარალდება მოსახლეობა და ზარალდება ბიუჯეტი. არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ მოვაჭრეებს ვიღაც მფარველობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ასე თავისუფლად ვერ იმოქმედებდნენ.

იმედია მერია უკვე დაიწყებს ამ პრობლემის მოგვარებას. ბაზრების დახურვის შემთხვევაში ბევრი ადამიანი დარჩება სამსახურის გარეშე. რაც არჩევნების წინ ხელისუფლების ინტერესებში არ უნდა შედიოდეს.

ნიუსპრესი

ვაშინგტონში ებრაელთა მსოფლიო ფორუმი გაიმართა

ვაშინგტონში ებრაელთა მსოფლიო ფორუმი შედგა. მასში მონაწილეობა მიიღეს ებრაული სათვისტომოების წარმომადგენლებმა, ცნობილმა პოლიტიკოსებმა, მწერლებმა, ბიზნესმენებმა.

სულ ფორუმის მუშაობაში 3.000 დელეგატი მონაწილეობდა.

განხილვის ძირითადი თემა ევროპაში შექმნილი მდგომარეობა იყო. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ სირიელი ლტოლვილები დაახლოებით იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როგორც ლტოლვილები ნაცისტური გერმანიიდან 1934-36 წლებში.

ამას კატეგორიულად არ დაეთანხმა ლიტვის ებრაული სათვისტომოს ლიდერი ფაინა კუკლავსკი.

– ებრაელთა დევნა ნაცისტების სახელმწიფო პოლიტიკა იყო. სირიაში კი სამოქალაქო ომია. ხალხი ამ ომს გამოექცა, – თქვა კუკლავსკიმ.

ყველა გამომსვლელმა აღნიშნა საერთაშორისო ტერორიზმის მკვეთრი გააქტიურება. ისეთი ქალაქებიც კი, როგორებიცაა ბერლინი, პარიზი, ბრიუსელი და ა.შ., ახლა თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობენ.

– ოდესღაც მშვიდი ევროპა კვლავ დარტყმის ქვეშ მოექცა, – ითქვა ფორუმზე.

ევროპარლამენტის თავმჯდომარე თურქეთის პრეზიდენტს აკრიტიკებს

ევროპარლამენტის თავმჯდომარე მარტინ შულცმა თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანს წერილი მისწერა.

შულცმა თურქეთის პრეზიდენტი მკაცრად გააკრიტიკა იმ მოღვაწეთა მიმართ გამოთქმული მუქარის გამო, რომლებმაც სომხების გენოციდის აღიარებას მხარი დაუჭირეს.

– მუქარა და ძალადობა ყოვლად მიუღებელია, – წერს შულცი.

არეულობა ლვოვში

ლვოვში დაიწყო გამოსვლები ქალაქის მერის, სადოვიის, გადადგომის მოთხოვნით.

მერს ბრალად უყენებენ ქალაქის სანაგვეზე მომხდარ ხანძარს, რომლის დროსაც ადამიანები დაიღუპნენ.

– სადოვიი დანაშაულებრივ უმოქმედობას იჩენს, – განაცხადა აქციის მონაწილემ.

აქციაში უნა-უნსოს წევრებიც მონაწილეობდნენ. ისინი საოლქო საბჭოს შენობაში შეცვივდნენ. პასუხად ლვოვის ოლქის ხელმძღვანელობამ ქუჩაში ეროვნული გვარდია გამოიყვანა.

გვარდიელებსა და უნა-უნსოს წევრებს შორის მოხდა შეტაკება.

მიუხედავად ამისა, აქციის დაშლა ხელისუფლებამ ვერ შეძლო. იმავე დღეს ლვოვის მერის სახლთან აქტივისტებმა ნაგვის მთელი გროვა დაყარეს.

– სადოვიი, წადი! – სკანდირებდნენ ისინი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

20 წლის ქართველმა კანის ლომების ოქროს მედალი მოიგო

დუშეთში მცხოვრებმა 20 წლის სანდრო ლალიაშვილმა კანის ლომების ოქროს მედალი მოიგო. უმაღლესი ჯილდოს მოპოვებასთან ერთად მან ზაფხულში კანში გამგზავრებაც მოიგო, სადაც მეგობართან, მიხეილ თოდუასთან ერთად საკუთარი პროექტის პრეზენტაციას საქართველოს სახელით მოაწყობს.

სანდრო რამდენიმე თვეა სარეკლამო სფერომ გაიტაცა. გრაფიკული დიზაინი მისთვის აღმოჩენა რამდენიმე წლის წინ გახდა, რითაც 20 წლის ახალგაზრდამ სრულიად ახალ სამყაროში შეაბიჯა.

სანდრომ თბილისის მეტროსთვის სიტუაციების და პერსონაჟების სერია შექმნა. ახალგაზრდა დიზაინერი 13 ივნისს თბილისში სტიქიის შედეგად დატრიალებულ ტრაგედიას თავისი ნამუშევრით გამოეხმაურა.

სანდრო აუდიო ვიზუალური და მედია ხელოვნების ფაკულტეტზე სწავლობს, ამ ეტაპზე კი ამერიკაში მოღვაწე ორი ქართველი მუსიკალური ჯგუფის ლოგოზე მუშაობს.

თამარ გვერდწითელმა კარნეგი ჰოლში ახალი პროექტი წარადგინა

ცნობილმა ქართველმა მომღერალმა თამარ გვერდწითელმა ახალ პროექტზე მუშაობა დაასრულა და მისი პრეზენტაცია კარნეგი ჰოლში მოაწყო.

ხელოვანი მსმენელის წინაშე ახალი საკონცერტო პროგრამით წარდგა. ნიუ იორკში ჩატარებულ საღამოზე შესრულდა როგორც ქართული, ასევე ებრაული, ევროპული და რუსული სიმღერები.

კონცერტში მონაწილეობდა ხელოვნების ფესტივალის „ალუბლების ბაღის“ დიდი სიმფონიური ორკესტრი და მოსკოვის ვაჟთა ევროპული კაპელა, დირიჟორ ალექსანდრ ცალიუკის ხელმძღვანელობით.

– ბროლის ხმა, გამჭვირვალე, სავსე, ძლიერი – ასე უწოდეს თამარ გვერდწითელის ხმას კარნეგი ჰოლში დამსწრე მსმენელებმა.

ნანუკა ჟორჟოლიანს სასამართლოში უჩივლეს

ტელეწამყვან ნანუკა ჟორჟოლიანს სასამართლოში უჩივლეს. მიზეზი სიცრუის გავრცელებაა. თბილისის საქალაქო სასამართლოში დაინიშნა სხდომა, სადაც დაიგეგმა განხილვა სარჩელისა ნანუკა ჟორჟოლიანსა და აიფონ პლუსს შორის.

აიფონ პლუსი ითხოვს 50.000 ლარს მორალური ზიანისთვის ნანუკა ჟორჟოლიანისგან და სიცრუის უარყოფას.

– ნანუკა ჟორჟოლიანმა ქრთამის სახით აიფონი მიიღო და აიფონ პლუსის დისკრედიტაციას შეეცადა! – ეს არის მთავარი ბრალდება, რის გამოც ტელეწამყვანისგან სოლიდურ თანხას ითხოვენ.

– 2015 წლის ბოლოს, ნანუკა ჟორჟოლიანმა გამოაქვეყნა ფეისბუქის გვერდზე განცხადება, რომ აიფონ პლუსში შეიძინა „ბრაკი“ ტექნიკა, ჩვენთან მსგავსი რამ რადგან არ მოხდებოდა, ჩვენ მაშინვე დავუკავშირდით, რომ გაგვერკვია რასთან გვქონდა საქმე, გადმოვაგზავნინეთ საგარანტიო და აღმოჩნდა, რომ სხვაგან ჰქონდა ნაყიდი. მოვთხოვეთ წაეშალა ცილისმწამებლური განაცხადი და გაეკეთებინა განმარტება, რომ „ბრაკი“ ტელეფონი აიფონ პლუსში კი არა, აიტექნიკში იყიდა. ჯერ განაცხადი მეორე დღემდე არ წაშალა და ამ ცილისწამებას საქართველო კითხულობდა, მერე მეორე დღეს წაშალა და არ გააკეთა განმარტება, რომ ტექნიკა აიტექნიკში შეიძინა და არა ჩვენთან და რომ წინა განაცხადი შეცდომით გააკეთა, რადგან უკვე ბრძანდებოდა აიტექნიკის მაღაზიაში და პარკებით გამოვიდა იქედან, სავარაუდოდ, მოქრთამეს და ისევ მართალი კომპანიის დაჩაგვრა ამჯობინა ქრთამის სანაცვლოდ! – ნათქვამია აიფონ პლუსის განცხადებაში.

ბრალდებებს ნანუკა ჟორჟოლიანი ასე გამოეხმაურა:

– აიფონ პლუსი პიარისთვის არის მზად აკურთხოს ტელეფონები, მამაო მოტყუებით მიიყვანოს ოფისში. ამჯერად გამოიყენოს ჩემი სახელი მეტი პოპულარობისთვის. ჩავთვლი ქველმოქმედებად ჩემი მხრიდან და იკეთეთ პიარი ჩემი სახელით. მთავარია ნახმარი მობილურები აღარ ყიდოთ, რაც თქვენი მთავარი პროფილია.

ლადო ბურდული ბაბუა გახდა

ქართული მუსიკალური სამყაროს ერთ-ერთი გამორჩეული შემოქმედი ლადო ბურდული ბაბუა გახდა. მისმა უფროსმა გოგონამ, თეჯი ბურდულმა, პირველი შვილი, გოგონა უცხოეთში გააჩინა. თეჯი წლებია, საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს.

თეჯიმ თავის პატარას ბებიის, გუჯა ბურდულის მეუღლის, ინეზა აბესაძის პატივსაცემად ინეზა დაარქვა.

ეს სასიხარულო ინფორმაცია, ლადოს დამ, მაკა ბურდულმა გაავრცელა:

– ჩემმა თეჯიმ, ლადოევნამ, გოგოს ინეზა დაარქვა. ახლა მომწერა, ბერლინშია და ისეთი გავიხარე, ცრემლებს ვეღარ ვიკავებ. ვაშა, ბებია გავხდი... აწი აკაკის თავს დავანებებ, ისე მინდოდა ბებიობა, თავს ვიპარსავდი. მაგარი გრძნობაა, ვმრავლდებით!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

● ვყიდი ხის ფანჯრებს. ტელ: 557-68-83-43.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

სხვისი და ჩვენი ბიჭები

ვასსრულებთ ევროპის ჩემპიონატზე მონაწილე გუნდების წარდგენას. საინტერესო ბოლო ჯგუფია, სადაც ყველა გუნდს აქვს შანსი პლეი ოფში გასასვლელად. ფავორიტად პორტუგალიელები მიიჩნევიან, მაგრამ სიუპრიზების შემოთავაზება შეუძლიათ ისლანდიასა და ავსტრიას. ყველაზე ნაკლებ შანსებს უნგრელებს უნინასწარმეტყველებენ.

ჯგუფი ფ

პორტუგალია

ასოციაცია დაარსდა 1914 წელს. მეტსახელი არ აქვს

საუკეთესო ბომბარდირები პაულეტა და კრიშტიანუ რონალდუ (55-55). პაულეტასგან განსხვავებით, რონალდუს ამ ევროპის ჩემპიონატზე აქვს შანსი შედეგი გააუმჯობესოს.

ყველაზე მეტი მატჩი ლუიშ ფიგუს (127) აქვს ჩატარებული, მოქმედთაგან – რონალდუს (123). თუ პორტუგალიის ნაკრები ჯგუფიდან გავა, რონალდუ აქაც რეკორდსმენი გახდება.

პორტუგალიის ნაკრები ერთადერთია, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალი წააგო საკუთარ ქვეყანაში. ეს 2004 წელს მოხდა, როდესაც გადამწყვეტ მატჩში დამარცხდნენ ბერძნებთან (0:1).

ეს საუკეთესო მიღწევაა პორტუგალიელთათვის, რომლის გამეორებაც 2012 წელს შეეძლოთ, მაგრამ ნახევარფინალში პენალტების სერიაში დამარცხდნენ მომავალ ჩემპიონ ესპანეთთან. ასეთივე შანსი ჰქონდათ სადებიუტო ჩემპიონატზე 1984 წელს. მაშინ 6 წუთი დააკლდათ ფინალში გასასვლელად, როდესაც 2:3 წააგეს ფრანგებთან. არადა, დამატებით დროში 2:1 დაწინაურდნენ, მაგრამ ჟან-ფრანსუა დომერგმა და მიშელ პლატინიმ მათი მონდომება წყალს გაატანეს. ფრანგებთან წააგეს 2000 წლის ნახევარფინალიც – მაშინაც დამატებით დროში. ზინედინ ზიდანმა აბელ შავიერს საჯარიმოში ხელით თამაში არ აპატია და 11 მეტრიდან ზუსტად დაჰკრა.

1984 წლიდან 1996 წლამდე პაუზა ჰქონდათ, მას შემდეგ ევროპის ჩემპიონატი არ გამოუტოვებიათ. სულ ევროპირველობის ფინლურ ეტაპზე 28 მატჩი ჩაატარა: 15 მოგება, 5 ფრე, 8 წაგება. ბურთების შეფარდება – 40:26.

დასამახსოვრებელი მატჩები:

20.06.2000 პორტუგალია-გერმანია 3:0

ჯგუფურ ეტაპზე სერჟიო კონსეისაოს ჰეთ-ტრიკით პორტუგალიელებმა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი დაამარცხეს.

10.06.2000 პორტუგალია-ინგლისი 3:2

იგივე ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია მე-18 წუთზე 0:2 მარცხდება, მაგრამ ფიგუს, ჟოაო პინტუსა და ნუნუ გომეშის გოლებით მორიგი შესანიშნავი გამარჯვება ჩაიწერეს აქტივში.

23.06.1984 საფრანგეთი-პორტუგალია 3:2

ეს მატჩი იყო 1984 წლის ევროპირველობის მშვენება. ფრანგების საკმაოდ ძლიერ გუნდს პორტუგალიელებმა დიდებული თამაში დაუპირისპირეს, მაგრამ უფრო დიდებულად მოთამაშე პლატინისთან ვერაფერს გახდნენ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2006 წელს პორტუგალიელები გახდნენ ფიფას მიერ დაწესებული პრიზის – ყველაზე სანახაობრივი გუნდის უკანასკნელი ლაურეატები. მას შემდეგ ამ პრიზით არავინ დაუჯილდოვებიათ.

შემადგენლობა:

მეკარეები: რუი პატრისიუ (სპორტინგი), ანტონი ლოპესი (ლიონი, საფრანგეთი), ედუარდუ (დინამო, ხორვატია);

მცველები: ელიზაუ (ბენფიკა), რიკარდუ კარვალიუ (მონაკო, საფრანგეთი), ბრუნუ ალვეში (ფენერბახჩე, თურქეთი), პეპე (რეალი, ესპანეთი), ჟოზე ფონტე, სედრიკი (ორივე საუთჰემპტონი, ინგლისი), რაფაელ გერეირო (ლორიანი, საფრანგეთი);

ნახევარმცველები: ვიეირინია (ვოლფსბურგი, გერმანია), ადრიან სილვა, ჟოაუ მარიუ, ვილიამ კარვალიუ (ყველა სპორტინგი), დანილუ (პორტუ), ანდრე გომეში (ვალენსია, ესპანეთი), ჟოაუ მოუტინიუ (მონაკო, საფრანგეთი), პენალტუ სანსეში (ბენფიკა);

თავდამსხმელები: კრიშტიანუ რონალდუ (რეალი, ესპანეთი), რაფა (ბრაგა), რიკარდუ კუარეუმა (ბეშიქთაში, თურქეთი), ედერი (ლილი, საფრანგეთი), ნანი (ფენერბახჩე, თურქეთი);

ისლანდია

ასოციაცია დაარსდა 1947 წელს. მეტსახელი – ჩვენი ბიჭები.

საუკეთესო ბომბარდირი ეიდურ გუდიონსენია (25), რომელიც შედეგის გაუმჯობესებას საფრანგეთში ეცდება.

ყველაზე მეტი სანაკრებო მატჩი რუნალ კრისტინსონს (104) აქვს ჩატარებული. მოქმედთაგან კი საუკეთესო მაჩვენებელი ეიდურ გუდიონსენს (81) აქვს.

ბოლო წლებია ისლანდიის ნაკრები აგრძელებს განვითარებას. ყველაფერი 2011 წელს დაიწყო, როდესაც ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდნენ და ის თაობა სულ უფრო და უფრო იწევს გაოცებას საფეხბურთო სამყაროში.

2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად ცოტა დააკლდათ: შესარჩევ ჯგუფში მე-2 ადგილზე გასულებს გადათამაშება ხორვატებთან მოუწიათ და 2 მატჩის ჯამში 0:2 დამარცხდა. ეს იყო საუკეთესო მიღწევა, რომელიც მომავალ ევროპირველობაზე მოხვედრით გააუმჯობესეს.



დასამახსოვრებელი მატჩები:

13.10. 2016 ისლანდია-ჰოლანდია 2:0

უშუალო კონკურენტის ძლევით ისლანდიელებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისკენ. გილფი სიგურდსონის დუბლით კუნძულელებმა ჰოლანდიის ნაკრები დაამარცხეს.

09.09. 2016 ისლანდია-თურქეთი 3:0

გამარჯვება თურქებთან და ფინალური ეტაპის საგზური ჯიბეშია – ისლანდია გადათამაშების გარეშე მოხვდა ბებერი კონტინენტის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე.

03.09. 2015 ჰოლანდია-ისლანდია 0:1

პირველი ხმაურიანი გამარჯვება ჯგუფურ ეტაპზე და გაფრთხილება მეტოქეებს – ჩვენი ბიჭები მოდიან.

შემადგენლობა:

მეკარეები: ხანეს ტოპ ჰალდორსონი (ბოდო გლიმტი, ნორვეგია), ეგმიუნიურ კრისტინსონი (ჰამარბი, შვედეთი), ინგვარ იონსონ (სანდერფიორდი, ნორვეგია);

მცველები: ბირკირ სევარსონი (ჰამარბი, შვედეთი), რაგნარ სიგურდსონი (კრასნოდარი, რუსეთი), არი სკულასონი (ოდენსე, დანია), ჰაუკურ ჰაუკსონი (აიკი, შვედეთი), სვერირ ინგასონი (ლოკერენი, ბელგია), ჰერდურ მაგნუსონი (ჩეზენა, იტალია), იორტურ ჰერმანსონი (გეტებორგი, შვედეთი), ტიოდორ ბიარნასონი (ორჰუსი, დანია), არნორ ტრაუსტასონი (ნორჩეპინგი, შვედეთი);

ნახევარმცველები: არონ გუნარსონი (კარდიფი, ინგლისი), ემილ ჰალფრედსონი (უდინეზე, იტალია), ბირკირ ბიარნასონი (ბაზელი, შვეიცარია), კარი არნასონი (მალმიო, შვედეთი), გილფი სიგურდსონი (სუონსი, ინგლისი),რუნარ სიგუიონსონი (სუნდსვალი, შვედეთი);

თავდამსხმელები: იოჰან ბერგ გუდმუნდსონი (ჩარლტონი, ინგლისი), ეიდურ გუდიონსენი (მიოლდე, ნორვეგია), კოლბეინ სიგტორსონი (ნანტი, საფრანგეთი), ალფრედ ფინბოგასონი (აუგსბურგი, გერმანია), იონ ბედვარსონი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია);

მწვრთნელი: ლარს ლაგერბეკი

ავსტრია

ასოციაცია დაარსდა 1904 წელს. მეტსახელი არ აქვს

საუკეთესო ბომბარდირი ტონი პოლსტერი (44), მოქმედი ფეხბურთელებიდან – მარკ იანკო (25).

ყველაზე მეტი სანაკრებო მატჩი ანდრეას ჰერცოგს (103) აქვს ჩატარებული, მოქმედი ფეხბურთელებიდან – კრისტიან ფუქსს (72).

ავსტრიული ფეხბურთის გაბრწყინება გასული საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო, როდესაც 1954 წელს გამართულ მუნდიალზე მე-3 ადგილი დაიკავეს. სულ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 7-ჯერ მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მათთვის უცხო იყო კონტინენტური ჩემპიონატი და პირველად მხოლოდ მასპინძლის სტატუსით მოხვდნენ. ეს 2008 წელს მოხდა, როდესაც შვეიცარიასთან ერთად ჩაატარეს ფინალური ეტაპი. ავსტრიელები ჯგუფში ჩარჩნენ...

3 მატჩი: 1 ფრე და 2 მარცხი – ასეთია ავსტრიელთა მაჩვენებელი ფინალურ ეტაპზე. ბურთების შეფარდება – 1:3.

დასამახსოვრებელი მატჩები:

08.09.2015 შვედეთი-ავსტრია 1:4

ევროშესარჩევი, რომელიც ავსტრიელებმა დაძლიეს და სწორედ შვედეთში გაინაღდეს საფრანგეთში თამაშის უფლება.

12.06.2008 ავსტრია-პოლონეთი 1:1

ივიცა ვასტიჩმა მსაჯის მიერ კონფისკირებულ დროში ზუსტად დაჰკრა 11 მეტრიდან და ავსტრიელებს პირველი და ჯერჯერობით, ერთადერთი ქულა მოუტანა ფინალურ ეტაპზე.

15.10.1967 ავსტრია-სსრკ 1:0

1968 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ავსტრიელებმა დაამარცხეს გუნდი, რომელმაც წინა ორ (საწყის) ჩემპიონატებზე ფინალში ითამაშა და ევროპის ჩემპიონიც იყო.

ზემოთ ნახსენები ვასტიჩის გოლით, ავსტრიელი ფეხბურთელი გახდა ყველაზე ასაკოვანი, რომელსაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაუტანია. ვასტიჩი იმ დროს 38 წლისა და 257 დღის იყო.

შემადგენლობა:

მეკარეები: რობერტ ალმერი (აუსტრია), ჰაინც ლინდნერი (აინტრახტი, გერმანია), რამაზან ეზჯანი (ინგოლშტადტი, გერმანია);

მცველები: ალექსანდრ დრაგოვიჩი (დინამო, უკრაინა), კრისტიან ფუქსი (ლესტერი, ინგლისი), დიერდ გარიჩი (დარმშტადტი, გერმანია), მარტინ ჰინტერეგერი (გლადბახი, გერმანია), ფლორიან კლიაინი (შტუტგარტი, გერმანია), სებასტიან პრედლი (უოტფორდი, ინგლისი), მარკუს ზუტნერი (ინგლოშტადტი, გერმანია), კევინ ვიმერი (ტოტენჰემი, ინგლისი);

ნახევარმცველები: დავიდ ალაბა (ბაიერნი, გერმანია), მარკო არნაუტოვიჩი (სტოკი, ინგლისი), იულიან ბაუმგარტლინგერი (მაინცი, გერმანია), მარტინ ჰარნიკი (შტუტგარტი, გერმანია), შტეფან ილზანკერი, მარსელ ზაბიცერი (ორივე ლაიფციგი, გერმანია), იაკობ იანტშერი (ლუცერნი, შვეიცარია), ზლატკო იანუზოვიჩი (ვერდერი, გერმანია), ალესანდრო შელფი (შალკე, გერმანია);

თავდამსხმელები: ლუკას ჰინტერზეერი (ინგოლშტადტი, გერმანია), რუბინ ოკოტი (მიუნხენ 1860, გერმანია), მარკო იანკო (ბაზელი, შვეიცარია);

მწვრთნელი: მარსელ კოლერი

უნგრეთი

ასოციაცია დაარსდა 1901 წელს. მეტსახელი არ აქვს

საუკეთესო ბომბარდირი ფერენც პუშკაში (84), მოქმედი ფეხბურთელებიდან – ზოლტან გერო (24).

ყველაზე მეტი მატჩი იოზიფ ბოჟიკს (101) ჩაუტარებია, რომლის გაუმჯობესების შანსი საფრანგეთში ნაკრებთან ერთად მყოფ გაბორ კირაის (100) აქვს.

იყო დრო, როდესაც უნგრეთის ნაკრები ევროპაში ტონის მიმცემად ითვლებოდა. 1938 და 1954 წლებში მსოფლიო ჩემპიონატებზე ვერცხლის მედლები მოიპოვა, ხოლო 3-ჯერ ოლიმპიური ჩემპიონი იყო.

2-ჯერ მოხვდა ევროპირველობის ფინალურ ეტაპზე. 1964 და 1972 წლებში. მაშინ ფინალურ ეტაპზე 4 გუნდი გადიოდა. უნგრელებმა პირველად ბრინჯაო აიღეს, მეორედ კი ბოლო, მე-4 ადგილზე გავიდნენ.

ფინალურ ეტაპზე სულ 4 მატჩი აქვს ჩატარებული: 1 მოგება, 3 მარცხი. ბურთების შეფარდება – 5:6.

დასამახსოვრებელი მატჩები:

15.11.2015 უნგრეთი-ნორვეგია 2:1

ევრო-2016-ის საპლეიოფო მატჩი. უნგრელებმა მე-2 მატჩიც მოუგეს სკანდინავიელებს და 30 წლის შემდეგ ისევ მოხვდნენ დიდ საერთაშორისო ტურნირზე.

17.05.1972 უნგრეთი-რუმინეთი 2:1

1972 წელს უნგრელებმა ორჯერ ითამაშეს ფრედ რუმინელებთან და ფინალურ ოთხეულში გამსვლელი გუნდის ვინაობა დამატებითმა, მე-3 მატჩმა გადაწყვიტა.

25.04.1964 საფრანგეთი-უნგრეთი 1:3

საფრანგეთში მოპოვებულმა დამაჯერებელმა გამარჯვებამ მადიარებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა დაუბევა. იქ კი უნგრელებმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

შემადგენლობა:

მეკარეები: გაბორ კირალი (ჰალადაში), დენეს დიბუსი (ფერენცვაროში), პეტერ გულაჩი (ლაიფციგი, გერმანია);

